

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 2 (301)
თებერვალი
2022

25 წელი უჩინარ...



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 2(301)
თებერვალი
2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფედერაციიდან	3
პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად	
რეზერვაციის უძღვება გაცი ალავერდუშვილი	
ახალი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ	
მოდულები „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ და „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე)	9
პროფესიონალური ქულების მოგროვება (ეს სტატია ეხება პროფესიული დონის ყველა მოდულს)	17
2022 წლის იანვრის გამოცდების ანალიზი	21
საბა ძახაშია	
გადასახადების გადამხდელთა ინფორმირება გადასახადების მიმართ საჯარო ნდობის ასამაღლებლად	38
გლობალური მიწოდების ჯაჭვები დამატებითი არეულობის წინაშე 2022 წელს	40
ოფიციალური მასალები	42
კითხვა-პასუხი	59
ინფორმაცია პირუბიდან	64

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“: ა/ა GE40TB0600000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილმა
გადაეცა წარმოებას 14.03.2022. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.03.2021.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი

უკრაინის პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (GFPA)

მ ი მ ა რ თ ვ ა

მეგობრებო და კოლეგებო, ჩვენთვის შემაშფოთებელია აგრესორი რუსეთის გადანაცვები, უკრაინის განუყოფელი ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებასთან და უკრაინის ტერიტორიაზე საოკუპაციო საჯარისო ფორმირებების შეყვანასთან დაკავშირებით.

ჩვენ კიდევ ერთხელ გავხდით მოწმე საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უხეში დარღვევისა. არავის აქვს უფლება აუკრძალოს სუვერენულ, დამოუკიდებელ ქვეყნებს თავად აირჩიონ საკუთარი უსაფრთხოების ალიანსები და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ჩვენი ქვეყნების სწრაფვა ვიყოთ ევროპული და ევროატლანტიკური ოჯახის სრულფასოვანი წევრები.

საქართველომ საკუთარ თავზე გამოსცადა 2008 წლის რუსული აგრესია, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილის ოკუპაცია და მათი დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მხრიდან, ასევე ათასობით ადამიანის საკუთარ სამშობლოში დევნილად ყოფნა. დღეს იმავე განსაცდელშია ჩვენი მოძმე უკრაინელი ერი.

გიცხადებთ სოლიდარობას და მტკიცე მხარდაჭერას ბრძოლაში, რომელიც აუცილებლად დამთავრდება უკრაინელი ხალხის გამარჯვებით. ჩვენ ყოველთვის ვდგავართ მოძმე უკრაინელების გვერდით. ჩვენ გვჯერა, რომ უკრაინა ყოველთვის იქნება ერთიანი, ძლიერი და თავისუფალი, რადგან სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე.

დიდება უკრაინას, გმირებს დიდება!

საქართველოს პროფესიონალ
ბუღალტერთა და აუდიტორთა
ფედერაციის სახელით:

რუსუდან ჟორჟოლიანი-ნიქაბაძე
(თავმჯდომარე)

ნოდარ ებანოიძე – (თავმჯდომარის
მოადგილე)

ნიკოლოზ ბაკაშვილი – (თავმჯდომარის
მოადგილე)

თეიმურაზ ფარცხალაძე

დავით პაპიაშვილი

გიორგი ხმაღაძე

მურადი ნარსია

მიხეილ აბაიაძე

კონსტანტინე დათიაშვილი

მზევინარ გურაბანიძე

გიორგი კვინიკაძე

თამარ ცუხიშვილი

თბილისი,
2022 წლის 25 თებერვალი

Федерация професійних бухгалтерів та аудиторів України Федерация професійних бухгалтерів та аудиторів Грузії (GFPAА)

Звернення

Друзі та колеги, ми стурбовані рішенням Росії, країни-агресора, визнати незалежність неподільних територій України та ввести на територію України окупаційні військові формування.

Ми знову стали свідками грубого порушення основоположних принципів міжнародного права. Ніхто не має права забороняти суверенним, незалежним країнам вибирати власні альянси з безпеки та ставити під сумнів їх прагнення бути повноправними членами європейської та євроатлантичної сім'ї.

Грузія пережила російську агресію 2008 року, за якою послідувала окупація значної частини Грузії. Як наслідок, переміщення тисяч людей на Батьківщині. Сьогодні наш братський український народ знаходиться в такій же складній ситуації.

Я заявляю про нашу солідарність і міцну підтримку в боротьбі, яка неодмінно закінчиться перемогою українського народу. Ми завжди на стороні братніх українців, віримо, що Україна завжди буде єдиною, сильною і вільною, бо добро завжди перемагає зло.

Слава Україні, Героям слава!

*Від імені Федерації професійних
бухгалтерів та аудиторів Грузії:*

*Русудан Жоржоліані-Нікабадзе
(голова)*

Нодар Ебаноїдзе - (заступник голови)

*Ніколоз Бакашвілі - (заступник
голови)*

Теймураз Парцхаладзе

Давид Папіашвілі

Георгій Хмаладзе

Мурад Нарсія

Михайло Абаїадзе

Костянтин Датіашвілі

Мзевінар Гурабанідзе

Георгій Квінікадзе

Тамар Цухішвілі

*Тбілісі,
25 лютого 2022 року*

რუსეთის წევრობის შეწყვეტა ევროპის შემფასებელთა ორგანიზაციების გაერთიანებაში

TEGOVA-ს საბჭომ რიგგარეშე კრებაზე, რომელიც ბრუსელში ჩატარდა, მიიღო გადაწყვეტილება შეუწყვიტოს წევრობა რუსეთის პროფესიულ ორგანიზაციებს და ამავე დროს REV სერტიფიკატის მოქმედება ინდივიდუალურ შემფასებლებს.

TEGOVA

Tue, 8 Mar, 19:39 (2 days ago)

To: TEGOVA Members

Ladies, Gentlemen

Suspension of the Russian members of TEGOVA

At its meeting today, the Board of Directors of TEGOVA decided by unanimity to suspend with immediate effect the membership of TEGOVA of:

- ПАРТНЕРСТВО РОССИЙСКОГО ОБЩЕСТВА ОЦЕНЩИКОВ (ПРОО)
Partnership of the Russian Society of Appraisers (PRSA)
- РОССИЙСКАЯ КОЛЛЕГИЯ ОЦЕНЩИКОВ (РКО)
Russian Board of Appraisers (RBA)
- РОССИЙСКОЕ ОБЩЕСТВО ОЦЕНЩИКОВ (РОО)
Russian Society of Appraisers (RSA)

Sincerely,

Krzysztof Grzesik REV FRICS

Chairman

The European Group of Valuers' Associations

ინფორმაცია კორპორაციული სანევრო გადასახდელის ცვლილების შესახებ

ცვლილებების საფუძველი

კორპორაციული სანევრო გადასახდელის არსებული ტარიფი 10 წელზე მეტია მოქმედებს. განვლილი პერიოდის სანევრო შემოსავლებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანალიზმა, ასევე ქვეყნის აუდიტის ბაზარზე და საზოგადოდ, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებმა დაგვანახა ცვლილებების აუცილებლობა, კერძოდ:

წევრებთან მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების (ბსფ-ში სანევრო გადასახდელი; ხარისხის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მასალების, აუდიტის პროგრამის თარგმნა, სხვა საქმიანობა) ანაზღაურება ხდება აშშ დოლარის კურსის გათვალისწინებით.

ასეთ მოცემულობაში:

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში ჩვენი სანევრო გადასახდელი 2000-დან 5000 აშშ დოლარამდე გაიზარდა; მნიშვნელოვნად დაეცა ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში; გაიზარდა წევრი მცირე აუდიტური კომპანიების დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადებაზე მოთხოვნა რაც გარკვეულ (1 დიაგნოსტიკური შემოსწმება 1000-დან 1500 ლარამდე) ხარჯებს საჭიროებს. მართალია, მცირე აუდიტური კომპანიების პროფესიული მხარდაჭერის ღონისძიებების თანხობრივი ჯამი სანევრო გადასახდელზე მეტია, მაგრამ მათი დაბალი გადახდისუნარიანობისა და მხარდაჭერის საჭიროების გათვალისწინებით, სანევროს გაზრდა არაეფექტურად იქნა მიჩნეული.

მსხვილი აუდიტური კომპანიების მხარდაჭერა

ბაფისათვის დიდი პატივი და მხარდაჭერაა, რომ დაფუძნებიდან მისი წევრები არიან წამყვანი აუდიტური კომპანიები. ხაზგასასმელია, მსხვილი აუდიტური კომპანიების მიერ შეტანილი წვლილი ბაფისა და ზოგადად, საქართველოში ჩვენი პროფესიის განვითარებაში. სანევრო ტარიფების წარმოდგენილი ცვლილები ეფუძნება ამ კომპანიების პროფესიისადმი მხარდაჭერის პრაქტიკას, რომელიც, განახლებული რეგულაციის ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე აუდიტური კომპანიებისთვის.

ბაფის გამგეობა მადლიერებას გამოხატავს ლიდერი აუდიტური კომპანიების მიმართ, რომ მათ მიერ სწორად იქნება გაგებული საკითხისადმი ჩვენი მიდგომა და მცირე კომპანიების მხარდაჭერის საჭიროება.

2022 წლამდე მოქმედი კორპორაციული სანევრო გადასახდელი

2022 წლამდე მოქმედი კორპორაციული წევრობის გადასახდელი (გასული წლის წლიური მთლიანი შემოსავლებიდან გამომდინარე):

წლიური მთლიანი შემოსავალი	სანევრო გადასახდელი (ლარი)
1 მლნ. ლარის ჩათვლით	1,000
1-5 მლნ. ლარის ჩათვლით	3,000
5 მლნ. ლარზე მეტი	5,000

კორპორაციული სანევრო გადასახდელი 2022 წლიდან:

500,000 ლარამდე შემოსავალზე – 1000 ლარი (ფიქსირებული ტარიფი) ყველა კომპანიისათვის, შემოსავლების მიუხედავად; 500,000 ლარის ზემოთ, 1,000 ლარს დამატებული 500 ათას ლარზე მეტი თანხის 0.15%, მაგრამ არაუმეტეს 12,000 ლარისა.

სანევრო გადასახდელების გაანგარიშების ფორმულა მოცემულია ცხრილში, 2020 წლის შემოსავლების მაგალითზე.

კომენტარი:

კომპანიის შემოსავლებში მიმდინარე ეტაპამდე ითვლებოდა მთლიანი შემოსავლები. შემოთავაზებულ ვარიანტში იგულისხმევა აუდიტორული საქმიანობიდან (ფინანსური ანგარიშგების აუდიტი + სხვა აუდიტორული საქმიანობა) მიღებული შემოსავლები, რომელიც სარას-ის საიტიდან იქნება აღებული.

საწევრო გადასახდელების გაანგარიშების ფორმულა 2022 წლიდან, 2020 წლის შემოსავლების მაგალითზე.

წევრი ფირმის სახელწოდება	შემოსავალი აუდიტიდან 2020 წლის მონაცემებით	ფიქსირებული ტარიფი 500,000 ლარამდე შემოსავალზე	500000 ლარზე მეტი შემოსავალი	500000 ლარზე მეტი თანხის 0,15%	საწევრო 12000 ლარიანი ზღვარის გათვალისწინებით
შპს დელოიტი და ტუში	4 238 000	1 000	3 738 000	5 607	6 607
ფრაისუოტერჰაუსკუპერი	10 769 000	1 000	10 269 000	15 404	12 000
შპს ბიდიო აუდიტი	6 122 000	1 000	5 622 000	8 433	9 433
შპს „იუაი“	12 715 000	1 000	12 215 000	18 323	12 000
შპს KPMG GEORGIA	6 970 000	1 000	6 470 000	9 705	10 705
შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“	914 000	1 000	414 000	621	1 621
შპს „არესემ საქართველო“	1 008 702	1 000	508 702	763	1 763
შპს „გრანტ თორნთონ“	1 193 000	1 000	693 000	1 040	2 040
შპს „ნექსია თი ეი“	1 851 000	1 000	1 351 000	2 027	3 027
შპს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“	1 145 800	1 000	645 800	969	1 969
შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“	1 002 218	1 000	502 218	753	1 753
შპს „მომო ეიბისი“	623 000	1 000	123 000	185	1 185
შპს „კრესტონ ჯორჯია“	554 000	1 000	54 000	81	1 081
შპს „მარტვის საკონსულტაციო ჯგუფი“	537 000	1 000	37 000	56	1 056
ჯამი:	49 642 720	14 000	42 642 720	63 964	66 238
შემოსავლები 500,000-ზე ნაკლები					
შპს „კონსალტი“		1 000			1 000
შპს „ფინანსური მარტვის ჯგუფი“		1 000			1 000
ქართ. აუდიტ. კომპანია“		1 000			1 000
შპს „ბიზნეს ინფო 2008“		1 000			1 000
„რეალ აუდიტ კონსალტინგი“		1 000			1 000
აუდიტისა და კონსულტაციის რესურს ცენტრი		1 000			1 000
შპს ქართული აუდიტი		1 000			1 000
შპს კკ ჯგუფი		1 000			1 000
შპს „აუდიტ ცენტრი იბერია“		1 000			1 000
შპს „აუდიტ ექსპერტი“		1 000			1 000
შპს „აუდიტ ცენტრი“		1 000			1 000
შპს „სუპერ-აუდიტი“		1 000			1 000
შპს ორინჯ გრუპი		1 000			1 000
„ბაკაშვილი და კომპანია“		1 000			1 000
შპს „გარანტი“		1 000			1 000
სს „არგ გრუპი“		1 000			1 000
შპს „ეკონომიკური“		1 000			1 000

შპს „ცოდნისა“		1 000			1 000
შპს „აუდიტ სერვის ცენტრი“		1 000			1 000
შპს „დ და გ აუდიტი“		1 000			1 000
შპს „ბიზნეს კონსულტაცია, აღრიცხვა, აუდიტი“		1 000			1 000
შპს „არბიტრანს“		1 000			1 000
შპს „ლევინგ“		1 000			1 000
შპს „ბითიეი კონსალტინგი“		1 000			1 000
შპს „აუდიტ კონსულტანტი“		1 000			1 000
შპს „NIGOLLET“ აუდიტი		1 000			1 000
შპს „ინტელექტ აუდიტი“		1 000			1 000
შპს „აუდიტ პრევენცია“		1 000			1 000
შპს „აუდიტ-პროფესიონალი“		1 000			1 000
შპს „ფინსერვისი აუდიტი“		1 000			1 000
შპს „პრესტიჟ-აუდიტი“		1 000			1 000
შპს „კორა აუდიტი“		1 000			1 000
აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპი		1 000			1 000
შპს ალექსანდრე“		1 000			1 000
შპს „ქროუ ჯი“		1 000			1 000
შპს „ქედოს ჯორჯია“		1 000			1 000
„რასელ ბედფორდ ეივისი“		1 000			1 000
შპს „ბესტ აუდიტი“		1 000			1 000
შპს „იგალ“		1 000			1 000
ჯამი:		39 000	0	0	39 000
სულ ჯამი:		53 000	42 642 720	63 964	105 238

ახალი აუდიტის სერტიფიკაციის სტანდარტი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ

მოდული „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“
და „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმალესი დონე)

სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული აუდიტის ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს როგორც ხელმძღვანელობაზე, ისე აუდიტორებზე, – განსაკუთრებით KPMG-ის ირლანდიის ოფისის აუდიტის პარტნიორმა ბრაიან მაკსვინმა.

ასს 540-ის (გადასინჯული) ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საფინანსო განყოფილების თანამშრომლების, ფინანსური კონტროლიორებისა (მთავარი ბუღალტრებისა) და ხელმძღვანელობის სამუშაოზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრაზე. ფინანსური ფუნქციების გარდა, სტანდარტის გავლენა შეიძლება გამოვლინდეს სხვა სფეროებზეც, კერძოდ, სპეციალისტებზე, რომლებიც მონაწილეობენ შეფასებების გამოთვლაში, მაგალითად, პროფესიონალ შემფასებლებზე, საგადასახადო სფეროს სპეციალისტებზე ან აქტუარებზე. გარდა ამისა, ახალი გადასინჯული სტანდარტი იმოქმედებს აუდიტის კომიტეტების საქმიანობასა და ფუნქციებზეც, რადგან ფინანსური ანგარიშგების საბოლოო ვარიანტს მათი რეკომენდაციების საფუძველზე ამტკიცებენ გამოსაცემად. .

რა შედეგებს მოიტანს გადასინჯული სტანდარტის დანერგვა?

ახალი სტანდარტი, სხვა ახალი მოთხოვნების შესრულებასთან ერთად, აუდიტორს ავალდებულებს, დამატებითი პროცედურები ჩაატაროს სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული საკითხების საფუძვლიანად შესასწავლად და რისკების შესაფასებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ:

- ხელმძღვანელობას უფრო მეტი დრო დასჭირდება ამ პროცედურების შესრულებაში აუდიტორების დასახმარებლად;
- ხელმძღვანელობას მოუწევს, უკეთესად ჩამოაყალიბოს, უფრო მეტად ფორმალიზებული გახადოს სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლასთან დაკავშირებული თავისი პროცესები და უფრო მიზანმიმართული და ქმედითი გახადოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები;
- აუცილებელი იქნება უფრო მეტი კომუნიკაცია აუდიტორებს, ხელმძღვანელობასა და იმ პირთა შორის, რომლებიც ამტკიცებენ ფინანსურ ანგარიშგებას, სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მნიშვნელობის ასპექტების განხილვა-შეფასებასთან დაკავშირებით; ასევე

- ფინანსური ანგარიშგების მომდევნო ციკლში აუდიტორები უფრო უკეთეს/სრულყოფილ და მყარ/საიმედო მიდგომას გამოიყენებენ სააღრიცხვო შეფასებების აუდიტის ჩასატარებლად.

რატომ გადაიხედა სტანდარტი?

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოიცავს ბევრ განსხვავებულ ელემენტს, მრავალნაირი ინფორმაციის დამუშავებას თუ გამოთვლების ჩატარებას, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლა, უმეტეს შემთხვევაში, ყველაზე რთულია. სააღრიცხვო შეფასებები არის ფულადი თანხები (რომელიც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში ან გამჟღავნებულია შესაბამის განმარტებით შენიშვნებში), რომელიც საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ფუნდამენტური ნაწილია. სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლასთან დაკავშირებულია შეფასების განუსაზღვრელობა, რაც განპირობებულია გამოთვლებისთვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ან მონაცემებისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი შეზღუდვებით. ამის გამო, ნებისმიერი სააღრიცხვო შეფასებისთვის შეიძლება არსებობდეს შეფასების შედეგების ფართო სპექტრი. სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად ხელმძღვანელობა იყენებს სპეციფიკურ მეთოდებს ან მოდელებს, რომლის გამოყენებას ესაჭიროება გარკვეული დაშვებების განსაზღვრა მომავლის მოვლენებთან დაკავშირებით და გარკვეული მონაცემების მოპოვება თუ დამუშავება. შეფასების განსაზღვრისას ხელმძღვანელობა მიმართავს განსჯას, რომელსაც უკავშირდება გარკვეული სირთულე და სუბიექტურობა. ამ პროცესის ბუნებიდან გამომდინარე, სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებულია არსებითი უზუსტობის წარმოქმნის რისკი და სწორედ ამის გამოა ეს საკითხი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ყურადღების ცენტრში.

დროთა განმავლობაში, ფინანსურ ანგარიშგებებში გაიზარდა სააღრიცხვო შეფასებების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის მოცულობა, უფრო თვალსაჩინო გახდა სააღრიცხვო შეფასებების მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის, რამაც მათი დამატებითი ყურადღება გამოიწვია. ამის მიზეზია მუდმივად ცვალებადი რთული ბიზნესგარემო (რაც უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო გართულდა კოვიდ-19-ის პანდემიის გამო) და ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შემოღებული ფინანსური ანგარიშგების ახალი სტანდარტები. ასს 540-ის წინა ვერსია ამ ცვლილებებამდე დაიწერა. ახალი გარემო და გამოწვევები აუდიტორული შემოწმების კონტექსტში იმას ნიშნავდა, რომ აუდიტორებისთვის აუცილებელი იყო ახალი ჩარჩოკონცეფცია სააღრიცხვო შეფასებების საიმედო აუდიტის ჩასატარებლად. სწორედ ამგვარი გამოწვევების საპასუხოდ გადაწყვიტა ბსფ-ს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ ასს 540-ის ძირეული გადამუშავება.

რა მიზანს ემსახურება ახალი სტანდარტი?

1. ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისა და ბიზნესგარემოს ცვლილებებს, რაც ართულებდა და ართულებს შეფასების პროცესს;
2. უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს აუდიტორთა მხრიდან პროფესიული სკეპტიციზმით მოქმედებას, განმეორებითი აუდიტის შედეგად გამოვლენილი განმეორებითი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც ზიანს აყენებს (ეჭვქვეშ აყენებს) სააღრიცხვო შეფასებების აუდიტის ხარისხს; და
3. ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზებას სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით, აუდიტორსა და ხელმძღვანელობას შორის ორმხრივი დიალოგის პროცესის გაუმჯობესების ხარჯზე.

რა არის ახალი?

ახალი სტანდარტით გათვალისწინებულია შემდეგი მოთხოვნების გაუმჯობესება:

- **რისკის შეფასების პროცესის საიმედოობის ამაღლება:** სტანდარტი მოითხოვს სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული რისკების უფრო საიმედო, სკრუპულოზურ შეფასებას. მიზანი ისაა, რომ აუდიტორები უკეთ გაერკვნენ სააღრიცხვო შეფასებების იდენტიფიკაციისა და შესაბამისი ფულადი მნიშვნელობების გამოთვლისთვის დადგენილ საწარმოს პროცესებსა და შესაბამის კონტროლის მექანიზმებში. რისკის ზემოაღნიშნული შეფასება განისაზღვრება დეტალურ დონეზე და მიმართულია იმ მოდელებზე, დაშვებებსა და მონაცემებზე, რომლებიც გამოიყენება შეფასების დასადგენად. შეფასებისას გაითვალისწინება თანდაყოლილი რისკფაქტორები, მათ შორის სააღრიცხვო შეფასების სირთულე, მისი სუბიექტურობა და შეფასების განუსაზღვრელობა;
- **ტესტირების მიდგომის გრადაცია:** შენარჩუნებულია ტესტირების მიდგომის ის ვარიანტები, რომლებსაც ითვალისწინებდა ძველი ასს 540. ეს მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული შეფასების გამოთვლების ტესტირებას, დამოუკიდებელი შეფასების განსაზღვრას ან საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების გამოყენებას შეფასების აუდიტის მტკიცებულებად. თუმცა, ახალი სტანდარტი ფოკუსირებულია ჩატარებული პროცედურების დონის შესაბამისობაზე შეფასებულ რისკთან. ამგვარი მოთხოვნით იქმნება სტანდარტის გრადაცია, როდესაც აუდიტის სამუშაოს მოცულობა და ხარისხი დამოკიდებულია სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებულ სირთულესა და რისკის დონეზე.
- **პროფესიული სკეპტიციზმი:** ასს 540 (გადასინჯული) მოიცავს რამდენიმე დებულებას, რომელიც შემუშავებულია პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენების მნიშვნელობის გასაძლიერებლად. მაგალითად:
 - o მოთხოვნა იმისა, რომ აუდიტორმა იმგვარი დამატებითი აუდიტის პროცედურები უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს, რომ უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს საწინააღმდეგო მტკიცებულებებზე;
 - o მოთხოვნა იმისა, რომ აუდიტორმა უნდა შეაფასოს სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები, მათ შორის, როგორც დამადასტურებელი, ისე საწინააღმდეგო.
 - o სტანდარტის ენის შეცვლა უფრო მიზანმიმართული სიტყვების გამოყენებით, როგორიცაა „პრობლემა“, „ეჭვქვეშ დაყენება“ და „გადახედვა/ხელახლაგანხილვა“, რისი მეშვეობითაც სტანდარტი აძლიერებს აუდიტორების მხრიდან პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლენის მნიშვნელობას.
- **განმარტებითი შენიშვნები:** არსებობს გაძლიერებული მოთხოვნები იმის შესაფასებლად, სააღრიცხვო შეფასებები და განმარტებითი შენიშვნებში გამჟღავნებული შესაბამისი ინფორმაცია არის თუ არა დასაბუთებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად, თუ უზუსტობას შეიცავს.
- **ინფორმირება და ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია:** ახალი სტანდარტი მოიცავს ახალ მოთხოვნებს, რომლებიც გასათვალისწინებელია ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან კომუ-

ნიკაციის დროს. კერძოდ, სტანდარტის თანახმად, „აუდიტორმა ხელმძღვანელობას და, საჭიროების შემთხვევაში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა მოსთხოვოს ოფიციალური წერილობითი ინფორმაციის წარდგენა იმის შესახებ, სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად გამოყენებული მეთოდები, მნიშვნელოვანი დაშვებები და მონაცემები და განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული შესაბამისი ინფორმაცია შესაფერისია თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისი აღიარების, შეფასების ან ახსნა-განმარტებების უზრუნველსაყოფად.“ (ასს 540 (გადასინჯული), 37-ე პუნქტი).

რა გავლენა აქვს ხელმძღვანელობაზე?

შემდეგ ცხრილში მოკლედ ჩამოყალიბებულია ახალი, გადასინჯული სტანდარტით გათვალისწინებული ძირითადი ცვლილებები და მათ გავლენა აუდიტორებსა და ხელმძღვანელობაზე.

სახელმძღვანელო მითითებები ხელმძღვანელობისთვის, რომელიც გამოადგებათ სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრისას და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციის მოსამზადებლად

ძირითადი ცვლილება	გავლენა აუდიტორზე	გავლენა ხელმძღვანელობაზე
უფრო მეტი ყურადღებაა გამახვილებული აუდიტორის მიერ პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლენაზე.	აუდიტორმა იმგვარად უნდა ჩაატაროს აუდიტის პროცედურები, რომ ისინი განზრახ არ იყოს მიმართული ისეთი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვებაზე, რომლებიც შეიძლება იყოს დამადასტურებელი; ან ისეთი აუდიტის მტკიცებულებების გამორიცხვაზე, რომლებიც შეიძლება საწინააღმდეგო იყოს. აუდიტორმა ყურადღებით უნდა განიხილოს ყველანაირი მოპოვებული ინფორმაცია, იმის მიუხედავად, ეს ინფორმაცია ადასტურებს თუ ეწინააღმდეგება სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებულ ხელმძღვანელობის განსჯას და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.	აუდიტორს უფლება აქვს, უფრო მეტად დააყენოს ეჭვქვეშ და უფრო მეტად კრიტიკულად განიხილოს ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლასთან დაკავშირებული ცალკეული ასპექტები.

უფრო დეტალური შეფასება მოითხოვება იმ რისკის, რომ სააღრიცხვო შეფასებები შეიძლება შეიცავდეს არსებით უზუსტობას.	აუდიტორი, პირველ რიგში, განიხილავს იმ პირობებსა და მოვლენებს, რომლებმაც სააღრიცხვო შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს არსებითი უზუსტობა. შემდეგ აუდიტორი განიხილავს, დამკვეთის მიერ შექმნილი და დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა, სავარაუდოდ, შეძლებს თუ არა არსებითი უზუსტობის თავიდან აცილებას, ან სისტემაში არსებითი უზუსტობის წარმოქმნის შემთხვევაში, მის გამოვლენას და გასწორებას.	აუდიტორს შეუძლია განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ხელმძღვანელობის შეფასების პროცესის ბუნებისა და მასშტაბის და დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების გადამწყვეტი მნიშვნელობის ასპექტების გაგებას.
განსაკუთრებული აქცენტი გადატანილი სათანადო რეაგირებაზე შეფასების განუსაზღვრელობის დონეზე, სააღრიცხვო შეფასების სირთულესა და სუბიექტურობაზე.	აუდიტორის მიერ შესასრულებელი აუცილებელი სამუშაოს მოცულობა დამოკიდებულია იმის რისკზე, რომ სააღრიცხვო შეფასება შეიძლება შეიცავდეს არსებით უზუსტობას. ამ რისკზე გავლენას ახდენს შეფასების განუსაზღვრელობის დონე, ასევე კონკრეტული სააღრიცხვო შეფასების გამოთვლასთან დაკავშირებული სირთულე და სუბიექტურობა.	თუ აუდიტორი დაადგენს, რომ შედარებით მაღალია სააღრიცხვო შეფასებაში არსებითი უზუსტობის წარმოქმნის რისკი, მაშინ გაიზრდება აუდიტორის სამუშაოს მოცულობა. ეს, თავის მხრივ, გავლენას იქონიებს იმ ინფორმაციის მოცულობასა და ტიპზე, რომელიც ხელმძღვანელობამ უნდა მიაწოდოს აუდიტორს სააღრიცხვო შეფასებების აუდიტთან დაკავშირებით.

აუდიტის სამუშაო ეყრდნობა შერჩეულ მიდგომას (მიდგომებს) (ხელმძღვანელობის პროცესის ტესტირება, საკუთარი დამოუკიდებელი შეფასების განსაზღვრა, შემდგომი მოვლენების გათვალისწინება შეფასებისას), მათ შორის მნიშვნელოვანი საკითხების უფრო საფუძვლიანად შესწავლას, რომლებსაც ხელმძღვანელობა იხილავს სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით ჩატარებული განსჯისა და გადაწყვეტილებების მიღებისას.	ასს 540 მოიცავს შესწორებული მოთხოვნებს, რომლებიც უფრო კონკრეტულად არის მიმართული სააღრიცხვო შეფასების კომპონენტებზე. ეს მოიცავს მეთოდებს (მათ შორის მოდელებს, დაშვებებს და მონაცემებს) და აუდიტორის მიერ სუბიექტისა და მისი გარემოს ძირითადი კომპონენტების შესწავლის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას, მათ შორის, შესაბამის დოკუმენტაციას. გარდა ამისა, მოიცავს აუდიტის პროცედურების კავშირს შეფასებულ რისკებთან და აუდიტორის მნიშვნელოვან განსჯასთან, რომლის მიზანი იყო, აუდიტორს დაედგინა, არის თუ არა სააღრიცხვო შეფასებები და განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული შესაბამისი ინფორმაცია დასაბუთებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების გათვალისწინებით.	ხელმძღვანელობამ აუდიტორისგან შეიძლება მიიღოს უფრო მიზანმიმართული/ფოკუსირებული მოთხოვნები თითოეულ ამ საკითხზე. ხელმძღვანელობას შეიძლება დასჭირდეს ექსპერტების ჩართულობის საჭიროების საკითხის განხილვა, რათა ექსპერტები დაეხმარონ ამ საკითხზე მუშაობაში. მათ ასევე შეუძლიათ ძირითადი მსჯელობებისა და მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტირების საჭიროების საკითხის განხილვა აუდიტორის მოთხოვნის მოლოდინში. ასეთი დოკუმენტაცია, სავარაუდოდ, ხელმძღვანელობასა და აუდიტორს შორის უფრო ეფექტური და ქმედითი განხილვის საფუძველი შეიძლება გახდეს.
--	--	--

უფრო მეტი ყურადღებაა გამახვილებული სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.	უფრო გულმოდგინედ შემოწმდება იმ ინფორმაციის საკმარისობა, რომელიც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში აქვს გამჟღავნებული ხელმძღვანელობას შეფასების განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით.	თუ აუდიტორი დაადგენს, რომ არსებითი უზუსტობის რისკი შედარებით უფრო მაღალია სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით გამჟღავნებული გარკვეული ინფორმაციისთვის, გაიზრდება აუდიტორის სამუშაოს მოცულობა. ეს გავლენას მოახდენს იმ ინფორმაციის მოცულობასა და ტიპზე, რომელიც ხელმძღვანელობამ უნდა მიაწოდოს აუდიტორს სააღრიცხვო შეფასებების აუდიტთან დაკავშირებით.
უფრო დეტალური ინფორმაციის მოთხოვნას ავალდებულებს სტანდარტი აუდიტორს ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილ ოფიციალურ წერილში.	აუდიტორს ევალება, ხელმძღვანელობას მოსთხოვოს ოფიციალური წერილობითი ინფორმაციის წარდგენა იმ მეთოდების, მნიშვნელოვანი დაშვებებისა და მონაცემების დასაბუთებულობის შესახებ, რომლებიც გამოიყენა სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციის ფულადი მნიშვნელობების დასადგენად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. გარდა ამისა, აუდიტორს ევალება, განიხილოს ოფიციალური წერილობითი ინფორმაციის მოთხოვნის აუცილებლობის საკითხი სპეციფიკური სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის, გამოყენებული მეთოდების, დაშვებების ან მონაცემების შესახებ.	ხელმძღვანელობამ აუდიტორებისგან შეიძლება მიიღოს, წინა წლებთან შედარებით, ახალი ან შეცვლილი მოთხოვნები ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილში წარსადგენი ინფორმაციის შესახებ. ამიტომ ხელმძღვანელობამ შეიძლება აუდიტორებს სთხოვოს, რომ მათ შეძლებისდაგვარად მალე აცნობონ, რა სახის ინფორმაციის წარდგენას მოითხოვენ ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილებში.

რა მოხდება სტანდარტის დანერგვის შემდეგ?

სტანდარტების შემუშავებლები აპირებენ ასს 540-ის (გადასინჯული) დანერგვის შემდგომი მიმოხილვის ჩატარებას მისი ძალაში შესვლის შემდეგ, რათა დაინახონ, მიაღწია თუ არა გადასინჯულმა სტანდარტმა დასახულ მიზანს და იმოქმედონ შესაბამისად.

პირველი შთაბეჭდილება

ახალი სტანდარტის გაცნობისა და სტანდარტის ცვლილებების თვალსაჩინოების მიზნით, აუდიტის საილუსტრაციო სამუშაო დოკუმენტების მომზადების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეს არის სააღრიცხვო შეფასებების აუდიტის მიდგომის მნიშვნელოვანი ცვლილება. მთავარი გზავნილი ის არის, რომ აუდიტორები წინასწარ უნდა მოემზადონ იმისთვის, რომ დეტალურად შეისწავლონ სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლის პროცესი და ამის გათვალისწინებით ჩაატარონ რისკის შეფასების პროცედურები. ხელმძღვანელობას უფრო მეტი სამუშაოს შესრულება მოუწევს რისკის შეფასებაში აუდიტორების დასახმარებლად, მაგრამ აუდიტორსა და ხელმძღვანელობას შორის წინასწარი კომუნიკაცია და მათი ერთობლივი ჩართულობა უზრუნველყოფს სტანდარტის წარმატებულად დანერგვას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო, განსაკუთრებით რთულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების განსაზღვრა, საწარმოს ფუნქციონირებადობის ანალიზის ჩატარება და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციის მომზადება. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სააღრიცხვო შეფასებების აუდიტს.

საბოლოო ჯამში, ფინანსური ანგარიშგების თანამედროვე გარემოში, რომელიც ბიზნესგარემოსა და ბუღალტრული აღრიცხვის მარგულირებელი ჩარჩოების ცვლილების კვალდაკვალ ვითარდება, შეიძლება ითქვას, რომ ასს 540 (გადასინჯული) კარგ საფუძველს ქმნის აუდიტორებისთვის სააღრიცხვო შეფასებების აუდიტისა და, საერთოდ, აუდიტის ხარისხის ასამღლებლად საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

ბრაიან მასკვინი

KPMG-ის ირლანდიის ოფისის დირექტორი
2020 წლის 30 სექტემბერი

პროფესიონალური ქულების მოგროვება

(ეს სტატია ეხება პროფესიული დონის ყველა მოდულს)

ამ სტატიაში განვმარტავთ, რას ნიშნავს პროფესიონალური ქულები (ანუ ქულები პროფესიონალიზმისთვის), როგორ ენიჭება ისინი კანდიდატებს ყველა პროფესიული მოდულის გამოცდაზე და პოტენციურ კანდიდატებს შეახსენებს, რომელია საუკეთესო გზა ამ დამატებითი და ხშირად გადამწყვეტი ქულების მოსაპოვებლად.

ACCA-ის კვალიფიკაციაში იმიტომ შემოიღეს პროფესიონალური ქულები, რომ კანდიდატებმა წარმოაჩინონ და ACCA-ის გამომცდელთა გუნდმა შეაფასოს გარკვეული აუცილებელი პროფესიული კომუნიკაციის უნარები და მაღალი დონის შესაძლებლობები, რადგან დამსაქმებლები მოელოდნენ, რომ სწორედ ამ უნარებსა და შესაძლებლობებს უნდა ფლობდნენ ACCA-ის წევრები.

სად და რამდენი პროფესიონალური ქულის მიღებაა შესაძლებელი?

სტრატეგიული ბიზნესლიდერის გამოცდის გარდა, სადაც 20 ქულის მიღებაა შესაძლებელი პროფესიული უნარების დემონსტრირებისთვის, უმაღლესი დონის ყველა სხვა პროფესიული გამოცდა მოიცავს მხოლოდ ოთხ პროფესიონალურ ქულას თითოეულ სესიაზე. როგორც საგამოცდო მასალის ნიმუშებიდან ჩანს, ამ ოთხი ქულის მიღება შესაძლებელია შემდეგნაირად:

- საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება: ორი ქულა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ეთიკური შედეგების შესახებ კითხვაში“ „ა“ განყოფილებაში და ორი ქულა „ანალიზის კითხვებში“ – „ბ“ განყოფილებაში.
- უმაღლესი დონის სხვა გამოცდები: 1-ელ კითხვაში, „სიტუაციურ მაგალითზე (სცენარზე) დაფუძნებული კითხვა – „ა“ განყოფილება.

პროფესიონალური ქულები კანდიდატს მიენიჭება იმ შესაძლებლობებისა და უნარებისთვის, რომლებიც ემატება ტექნიკური ინტელექტუალური უნარების დონეებს, მაგრამ მისგან განცალკევებულია და მოიცავს სინთეზს და შეფასებას – მე-3 დონის ინტელექტუალური დონის შესაძლებლობების საფუძველს, როგორც ეს მითითებულია უმაღლესი დონის პროფესიული მოდულების სახელმძღვანელოებში.

პროფესიონალური ქულები განკუთვნილია პასუხების საერთო ხარისხისა და ეფექტური პროფესიული კომუნიკაციის უნარების გამოყენების ან ათვისებისთვის, გამომცდელთა გუნდის მოთხოვნების შესაბამისად. ამას განსაზღვრავს მთელი რიგი ფაქტორები გამომცდელთა შესაბამისი გუნდის გადაწყვეტილებით. ამ უნარებში იგულისხმება მიცემული რეკომენდაციების რელევანტურობა, მიწოდებული ინფორმაციისა და ახსნა-განმარტებების სიცხადე, ლოგიკური დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება, საჭიროების შემთხვევაში, განხილვის ხარისხი, გამჭრიახობის გამოვლენა სამიზნე აუდიტორიის მიმართ და შესაბამისი ტონის/ენის გამოყენება, ასევე პასუხის ან ინფორმირებისთვის მოთხოვნილი დოკუმენტის ფორმატი, სტრუქტურა და პრეზენტაცია. პროფესიონალური ქულები კანდიდატს ასევე შეიძლება მიენიჭოს პასუხის ნათლად ჩამოყალიბებისთვის ე.წ. „მიმდინარე მდგომარეობის მიმოხილვის“ მეთოდით – ძირითადი მიზნების ჩამოყალიბება კონკრეტული მოთხოვნების კონტექსტში და მსჯელობის გამოყენება ინფორმირების ძირითადი ამოცანის მისაღწევად.

ტიპური მოთხოვნა, რომელთანაც დაკავშირებულია პროფესიონალური ქულებს უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის (P4) საგამოცდო კითხვის ნიმუშის მიხედვით:

პროფესიონალური ქულები მოგენიჭებათ (დ) ნაწილში მემორანდუმის წარდგენის ფორმატის, მისი სტრუქტურის, ლოგიკური თანამიმდევრობისა და სიცხადისთვის.

(4 ქულა)

2007 წლის დეკემბრის შემდეგ ასეთ მოთხოვნებს რეგულარულად ამოწმებს გამომცდელ-თა გუნდი უმაღლესი დონის პროფესიულ გამოცდებზე, რომელთა შესასრულებლად შეიძლება აუცილებელი იყოს შემდეგი ან სხვა ანალოგიური მოქმედებები:

- მოამზადეთ შეხვედრის ჩანაწერები;
- მოამზადეთ განსახილველი დოკუმენტი;
- მოამზადეთ ანგარიში დირექტორთა საბჭოსთვის
- მოამზადეთ მემორანდუმი;
- წარმოადგინეთ საინფორმაციო დანიშნულების შენიშვნები;
- დაწერეთ წერილი კლიენტისთვის.

კანდიდატებს ქულების უმეტესი ნაწილის მიღება შეუძლიათ მოთხოვნების ტექნიკური შინაარსისთვის, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მათი პასუხი შეიცავს საკმარის შესაბამის მოსაზრებებს, თუმცა, სცენარზე დაფუძნებულ კითხვაზე პასუხის გაცემისას მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი პროფესიონალური ქულების კომპონენტია.

ამგვარი ქულების მიღებას ბევრი ტექნიკურად კარგად მომზადებული და მცოდნე კანდიდატიც კი ვერ ახერხებს, რის გამოც კანდიდატმა შეიძლება ვერ მოაგროვოს გამსვლელი ქულები და ჩაიჭრას გამოცდაზე. ვინაიდან „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების“, „ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)“ და „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)“ მოდულების გამოცდაზე 2 წუთი აქვს კანდიდატებს მიცემული თითო ქულისთვის, პროფესიონალური ქულების მოპოვებას მინიმუმ რვა წუთის სამუშაო ან ფიქრი უნდა მოანდომოს კანდიდატმა გამოცდაზე, ამიტომ საკმარისი ყურადღება უნდა დაეთმოს დროის განაწილებას ამგვარ კითხვაზე პასუხის გაცემისას.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სტატისტიკურად, კანდიდატების მნიშვნელოვანი ნაწილი ნებისმიერ გამოცდაზე 45%-დან 55%-მდე ქულას იღებს, რაც წარმოადგენს კანდიდატების რეპრეზენტაციული ერთობლიობის შეფასებების ნორმალური განაწილების „ზარის ფორმის“ მრუდის შედეგს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ხელმისაწვდომი პროფესიონალური ქულებიდან დაკარგულმა ან გამოტოვებულმა ქულებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს კანდიდატების დიდი ნაწილის წარმატების შანსები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რომელიმე გამოცდაზე ქულების დაახლოებით 4% შეიძლება მოდიოდეს ამ პროფესიული უნარების დემონსტრირებაზე. მაშასადამე, თითო ქულაზე 2 წუთის დახარჯვის ზემოაღნიშნული წესის გათვალისწინებით, თქვენ მიზნად უნდა დაისახოთ, რომ საგამოცდო დროის სათანადო ნაწილი ამ ქულების მოსაპოვებლად გამოიყენოთ. აქედან გამომდინარე, ფროთხილად მოქმედება გჭირდებათ გამოცდაზე.

რამდენიმე რჩევა პროფესიონალური ქულების მოპოვებასთან დაკავშირებით, იმისდა მიხედვით, რას ითხოვს თქვენგან გამომცდელი

- სანამ წერას დაიწყებთ, დაფიქრდით და დაგეგმეთ თქვენი პასუხი.
- დაადგინეთ, ვინ ხართ თქვენ ან რა როლი გაცვთ საგამოცდო კითხვის მოთხოვნაში, ასევე ვინ არის თქვენი აუდიტორია და რის მიღწევას ცდილობთ. მაგალითად, აუდიტის მენეჯერი ხართ, კომპანიის მიერ დაქირავებული ხელმძღვანელობის ექსპერტი თუ დამოუკიდებელი ფინანსური კონსულტანტი და ვისზე ცდილობთ გავლენის მოხდენას, ან ვის დარწმუნებას ცდილობთ და რა მიზნით?
- დაფიქრდით, რა ტიპის ინფორმაციის წარდგენას ითხოვენ თქვენგან და ზუსტად განსაზღვრეთ, პირველ პირში წერთ („მე“ ან „ჩვენ“) თუ მესამე პირში („ეს/ის“ ან „კომპანია“). მაგალითად, წერილი საუკეთესოდ იწერება პირველ პირში, ხოლო ანგარიში/მოხსენებითი ბარათი, ჩვეულებრივ, მესამე პირში იწერება.
- განსაზღვრეთ და გამოიყენეთ ისეთი ფორმატი ან სტრუქტურა, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება წარსადგენი ინფორმაციის ტიპს – საჭიროა შესავალი, დასკვნები ან რეკომენდაციები?
- გადაწყვიტეთ, რა თანმიმდევრობით უნდა წარმოადგინოთ ინფორმაცია, რათა გააუმჯობესოთ თქვენი არგუმენტების ლოგიკური ნაკადი და სიძლიერე/დამაჯერებულობა.
- ერთად დააჯგუფეთ მსგავსი მოსაზრებები და გადაწყვიტეთ, პირველ რიგში, საკვანძო საკითხების/მომენტების ინფორმირება გსურთ, თუ რამდენიმე მათგანს ბოლოსთვის მოიტოვებთ, მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად და თქვენი არგუმენტების დამაჯერებლობის ასამაღლებლად.
- გამოიყენეთ სათაურები და აბზაცებს/პუნქტებს შორის სივრცე დატოვეთ, რათა გაზარდოთ პრეზენტაციისთვის მონიჭებული ქულების რაოდენობა და რაც შეიძლება მეტად პროფესიონალურად იყოს წარმოდგენილი თქვენი პასუხი.
- მხოლოდ შესაფერის დროს გამოიყენეთ მოსაზრებების განსაცალკევებლად პუნქტებად დაყოფის მიდგომა („ბულიტები“);
- შესაბამის შემთხვევაში იზრუნეთ იმაზე, რომ მთელი პასუხის განმავლობაში თქვენს აუდიტორიას მიმართავდეთ, განსაკუთრებით წერილში, სადაც თქვენი პასუხის ტონი პირადია. მაგალითად: „თუ თქვენ მთხოვდით ამგვარ დახმარებას, მაშინ მოგიწევდათ ...“.
- ამგვარად, პროფესიონალური ქულები განკუთვნილია კანდიდატის ეფექტური კომუნიკაციის უნარის შესაფასებლად, რაც ვლინდება რჩევების/რეკომენდაციების ჩამოყალიბებით, ან მოქმედების კურსის დასაბუთებით და ალტერნატიული პოზიციების/მოსაზრებების დემონსტრირებით სცენარის გამოყენებით და ეფექტური არგუმენტებისა თუ კონტრარგუმენტების საშუალებით. შესაძლებელია გამომცდელთა გუნდს სურდეს, რომ კანდიდატმა საკუთარი იდეები წამოაყენოს, ან დააკავშიროს თეორია და მეთოდები ან/და მიუსადაგოს სცენარს. პროფესიონალური ქულების მისაღებად კანდიდატს შეიძლება დასჭირდეს საკითხის/პრობლემის გადაჭრის გზის მოძიება ან ახალი ხედვის მოფიქრება პროფესიული განსჯის საფუძველზე და ეთიკური პოზიციის დემონსტრირებით რეკომენდაციების მიცემისას.

ასეთი პროფესიული უნარები გულისხმობს, რომ კანდიდატს უნდა შეეძლოს ინფორმაციის გაანალიზება და წარმოდგენა იმ პირის შეხედულებებისა და როლის/ფუნქციების გათვალისწინებით, რომელსაც კანდიდატი უნდა წარმოადგენდეს (სცენარის მიხედვით), მაგალითად აღმასრულებელი/გენერალური დირექტორი და შეიძლება მოიცავდეს სამიზნე აუდიტორიისგან მოსალოდნელ რეაქციას.

პროფესიონალური ქულების მოსაპოვებლად ხშირად შეიძლება საჭირო გახდეს პასუხის ძირითადი საკითხების ერთად თავმოყრა და არგუმენტის ძირითადი ელემენტების შერჩევა ან პრიორიტეტებად დაყოფა, რათა მივიღოთ სწორი და სათანადოდ დასაბუთებული საერთო დასკვნა. ზოგჯერ შეიძლება დაგჭირდეთ გარკვეული რეკომენდაციების მიცემა, რომლებიც დასაბუთებული უნდა იყოს პასუხის ძირითად ნაწილში განხილული დეტალებით ან კითხვის სცენარში მოცემული ინფორმაციით.

რეზიუმე

ამგვარად, პროფესიონალური ქულები კანდიდატებს მიენიჭებათ შემდეგი ქმედებებისთვის:

- ინფორმირების/ინფორმაციის მომზადების ნავარაუდევ მიზნის გაგება;
- მისი სამიზნე მომხმარებლებისა და მათი საჭიროებების იდენტიფიცირება;
- პასუხში შესაბამისი ტიპის დოკუმენტის მომზადება და გამოყენება;
- პასუხისთვის ლოგიკური და შესაფერისი სტრუქტურის ან ფორმატის გამოყენება;
- გამოსაყენებელი ტონის/ენის/სტილის შერჩევა, ინფორმაციის ხასიათისა და შესასრულებელი მიზნების მიხედვით;
- იმის განსაზღვრა, სად და რამდენი დეტალის ჩართვაა აუცილებელი, საჭიროებისამებრ;
- პრეზენტაციისთვის ნათლად გასაგები, ლაკონური და ზუსტი მეთოდების გამოყენება, როგორც ვერბალურ, ისე რიცხვობრივ კონტექსტში.

ცხადია, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უნარი არ შეფასდება თითოეულ გამოცდაზე, მაგრამ ამ სტატიაში ყველა იმ შესაძლებლობის საჩვენებლად განვიხილეთ, რომლის დემონსტრირებაც შეიძლება მოეთხოვოს საწარმოს უმაღლესი დონის პროფესიულ გამოცდებზე გამსვლელ კანდიდატებს. შესაბამისი კითხვის მოთხოვნებიდან ნათლად ჩანს, თითოეულ გამოცდაზე რომელ საკითხს აქვს მიკუთვნებული პროფესიონალური ქულები და როგორ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმაღლესი დონის პროფესიულ გამოცდებზე, საერთო ჯამში, პროფესიული შესაძლებლობებისთვის 4 ქულა იქნება ხელმისაწვდომი 1-ლ კითხვაში, ხოლო საწარმოს **სტრატეგიული ანგარიშების შემთხვევაში** ეს ქულები გაიყოფა სამ გამოცდო მასალის A განყოფილების კითხვასა და B განყოფილების კითხვას შორის.

დასასრულ, პროფესიონალური ქულები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მოთხოვნების მხოლოდ ერთი ნაწილისთვის ან ყველა მოთხოვნისთვის.

2022 წლის იანვრის გამოცდების ანალიზი

F1/ბბ „ბუღალტერი ბიზნესში“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – საგამოცდო მასალა დაყოფილია ორ ნაწილად: **„ა“ ნაწილი მოიცავს** ორმოც არჩევითპასუხიან (ათი 1-ქულიანი და ოცდაათი 2-ქულიანი) დავალებას, ხოლო **„ბ“ ნაწილი** – ხუთ 6-ქულიან მრავალდავალებიან ამოცანას. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა **2 საათი და 15 წუთი**.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ იანვრის გამოცდაზე გამოსული კანდიდატების უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა და მიიღო გამსვლელი ქულა.

კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს **„ა“ ნაწილის არჩევით პასუხიან დავალებებს**. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა წარმატებით გაართვეს თავი:

- ბიზნესორგანიზაცია და სტრუქტურა;
- დაინტერესებული მხარეები ბიზნესორგანიზაციაში;
- პროფესიული ეთიკა ბუღალტრულ აღრიცხვასა და ბიზნესში;
- კადრების მოზიდვა და შერჩევა;
- ფინანსური სისტემები და პროცედურები;
- ინდივიდებისა და ჯგუფების მოტივაცია;
- წვრთნა და სწავლება სამუშაო ადგილზე;
- კომუნიკაცია ბიზნესში.

მაგრამ იყო ისეთი თემებიც, რომლის კითხვებზე სწორი პასუხების გაცემაც კანდიდატებს გაუჭირდათ. ესენია:

- ბიზნესორგანიზაცია;
- მართვა და სოციალური პასუხისმგებლობა;
- ორგანიზაციული კულტურა ბიზნესში;
- გარე ფაქტორების ანალიზი – პოლიტიკური და სამართლებრივი ფაქტორები;
- კონკურენციის ფაქტორები;
- აუდიტი და ფინანსური კონტროლი;
- ლიდერობა, მართვა და ზედამხედველობა;
- ინდივიდუალური მიღწევების განხილვა და შეფასება.

„ბ“ ნაწილის ამოცანები ეხება შემდეგ თემებს:

პირველი ამოცანა – ბიზნესორგანიზაცია, სტრუქტურა, ფუნქციები და მართვა;

მეორე ამოცანა – ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემები, კონტროლი და შესაბამისობა;

მესამე ამოცანა – ინდივიდებისა და გუნდის ლიდერობა და მართვა;

მეოთხე ამოცანა – პერსონალური ეფექტურობა და კომუნიკაცია ბიზნესში;

მეხუთე ამოცანა – პროფესიული ეთიკა ბუღალტერიასა და ბიზნესში.

კანდიდატების უმრავლესობამ კარგად უპასუხა ყველა ამოცანას, თუმცა ბევრ მათგანს გაუჭირდა მესამე ამოცანის ამოხსნა.

უმრავლესობამ გასცა პასუხი „ა“ და „ბ“ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ამ ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არცერთი პასუხი. ასეთი მიდგომა მცდარია – თუ არ იცით, რომელი პასუხია სწორი, გამორიცხეთ მცდარი პასუხები და მონიშნეთ ის, რომელიც თქვენი აზრით სწორია. ჩვენი დაკვირვებით, გამოცდის დრო – 2 სთ და 15 წუთი – საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწოროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა.

მიუხედავად ამისა, მინდა ხაზი გავუსვა დროის სწორი განაწილების აუცილებლობას. **F1/ბბ მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად, კერძოდ: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათსა და 35 წუთში, ხოლო „ბ“ ნაწილი – 40 წუთში.**

გარდა ამისა, მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ყველა დავალების პირობა ცხადად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული, ამიტომ კითხვებზე პასუხის გაცემისას დიდხანს ფიქრით მხოლოდ დროს კარგავთ. თუ კითხვაზე პასუხის გაცემა გაგიჭირდათ, ყურადღებით წაიკითხეთ ყველა სავარაუდო პასუხი და გამორიცხეთ ცალსახად მცდარი ვარიანტ(ებ)ი; შემდეგ კი ორი პასუხიდან აირჩიეთ ისეთი, რომელიც, თქვენი აზრით, სწორია. მაგრამ ნუ გაჩერდებით და ნუ დაკარგავთ ბევრ დროს ისეთი დავალების ამოხსნაზე, რომლის თეორია ცუდად იცით ან დაგავიწყდათ, გადადით შემდეგ დავალებაზე.

F1/ბბ „ბუღალტერი ბიზნესში“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	70
მინიმალური ნიშანი	34
მაქსიმალური ნიშანი	96
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	18
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	85%	91%	95%	93%	93%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	82%	86%	84%	88%	84%

F2/მა „მმართველობითი აღრიცხვა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა: „ა“ ნაწილი მოიცავდა ორმოც 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას, ხოლო „ბ“ ნაწილი – ორ 10-ქულიან ამოცანას. ყველა დავალების ამოხსნაზე კანდიდატებს მიეცათ 2 საათი და 15 წუთი.

„ა“ ნაწილის ჩვიდმეტი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ოცდასამი – თეორიული. კანდიდატებმა კარგად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- დანახარჯების კლასიფიკაცია – დანახარჯის ერთ-ერთი ელემენტის ქცევა;

- დანახარჯების კლასიფიკაცია – მინი-მაქსის მეთოდი;
- მარაგების აღრიცხვა;
- შრომითი დანახარჯების აღრიცხვა;
- ზედნადები ხარჯების აღრიცხვა;
- კალკულაცია ზღვრული დანახარჯებით და დანახარჯთა სრული განაწილებით;

სტატისტიკური მეთოდები.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომელიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- მმართველობითი აღრიცხვა – ცენტრების პასუხისმგებლობა;
- ინფორმაციის წარდგენა;
- შეკვეთის მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდი;
- გადახრების კალკულაცია და ანალიზი;
- შედეგიანობის შეფასების გამოყენება.

„ბ“ ნაწილი მოიცავდა ორ ამოცანას, რომელიც შედგენილი იყო შემდეგი თემების მიხედვით:

პირველი ამოცანა – ნორმატიული დანახარჯების კალკულაცია;

მეორე ამოცანა – შედეგიანობის შეფასება.

კარგად მომზადებული კანდიდატების უმრავლესობამ ამომწურავი პასუხი გასცა „ბ“ ნაწილის პირველ ამოცანას, თუმცა ბევრ კანდიდატს გაუჭირდა მეორე ამოცანის ამოხსნა, კერძოდ:

- კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის გამოთვლა;
- მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოთვლა.

კანდიდატების უმრავლესობამ გასცა პასუხი „ა“ და „ბ“ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ა ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არცერთი პასუხი. გამოცდის დრო – 2 სთ და 15 წუთი – საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწოროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა.

მიუხედავად ამისა, მინდა ხაზი გავუსვა დროის სწორი განაწილების აუცილებლობას. **F2/მა მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად, კერძოდ: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათსა და 45 წუთში, ხოლო „ბ“ ნაწილი – 30 წუთში.**

F2/მა „მმართველობითი აღრიცხვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	62
მინიმალური ნიშანი	34
მაქსიმალური ნიშანი	96
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	8
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2020 წ. იანვარი
	87%	76%	82%	76%	94%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	64%	72%	69%	68%	65%

F3/ფა „ფინანსური აღრიცხვა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა: „ა“ ნაწილი მოიცავდა ორმოც 2-ქულიან არჩევითასუხიან დავალებას, ხოლო „ბ“ ნაწილი - ორ 10-ქულიან ამოცანას. დავალებების შესასრულებლად კანდიდატებს მიეცათ 2 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის ცხრამეტი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ოცდაერთი - თეორიული.

- კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:
- კონტექსტი და ფინანსური ანგარიშგების მიზანი;
- ორადი ჩაწერისა და ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების გამოყენება;
- ბუღალტრული ანგარიშები, პირველადი გატარების წიგნები და ჟურნალები;
- შესყიდვებსა და გაყიდვებზე დარიცხული დღგ;
- მარაგი;
- ბასს 38 „არამატერიალური აქტივები“;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები;
- ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაცია.

კანდიდატებს გაუჭირდათ შემდეგი თემების მიხედვით შედგენილი დავალებების ამოხსნა:

- დარიცხვები და წინასწარგადახდები;
- საცდელი ბალანსის მომზადება;
- შეცდომების კორექტირება და დამხმარე ანგარიშები;
- არასრული ჩანაწერები;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგების მომზადება;
- შენიშვნები/ჩანაწერები გასაჯაროებული ინფორმაციის შესახებ;
- ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

„ბ“ ნაწილი მოიცავს ორ ამოცანას, რომელიც შედგენილია შემდეგი თემების მიხედვით:

პირველი ამოცანა - საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მომზადება და მაჩვენებლების გამოთვლა;

მეორე ამოცანა - საწარმოს ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება.

კარგად მომზადებული კანდიდატების უმრავლესობამ ორივე ამოცანა დაწერა, თუმცა, ბევრს გაუჭირდა მეორე ამოცანის ამოხსნა. სუსტად მომზადებულმა კანდიდატებმა ან საერთოდ არ დაწერეს ამოცანები, ან ბევრი შეცდომა დაუშვეს.

კანდიდატების უმრავლესობამ გასცა პასუხი „ა“ და „ბ“ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა იყო შემთხვევები, რომ „ა“ ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არცერთი პასუხი. გამოცდის დრო - 2 სთ და 30 წუთი - საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწოროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა.

მიუხედავად ამისა, მინდა ხაზი გავუსვა დროის სწორი განაწილების აუცილებლობას. **F3/ფა მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად, კერძოდ: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 2 საათში, ხოლო „ბ“ ნაწილი - 30 წუთში.**

F3/ფა „ფინანსური აღრიცხვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	63
მინიმალური ნიშანი	23
მაქსიმალური ნიშანი	96
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	19
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	1

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	65%	71%	77%	63%	80%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2022 წ. დეკემბერი
	71%	77%	73%	74%	71%

F4/ქბ „ქართული ბიზნესსამართალი“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო **ოცდახუთი 4-ქულიანი კაზუსი**, რომელიც ეხებოდა ყველა გავლილ თემას.

კანდიდატებმა კარგად უპასუხეს კაზუსებს, რომელიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 21;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 242;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 329;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 245 და 243;
- საქართველოს შრომის კოდექსი მუხლი 12 და 18.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომელიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 25;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 310;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 339;

- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 15;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 46;
- საქართველოს შრომის კოდექსი მუხლი 64.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა კაზუს გასცა პასუხი. დავალებების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი, ანუ თითო კაზუსის პასუხი კანდიდატმა უნდა დაწეროს 8 წუთში.

F4/ქბ „ქართული ბიზნესსამართალი“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	56
მინიმალური ნიშანი	29
მაქსიმალური ნიშანი	83
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	6
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	91%	80%	85%	85%	82%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	83%	88%	86%	86%	83%

F5/სშმ „საქმიანობის შედეგების მართვა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო **თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება, სამი ათქულიანი სცენარი** (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას) და **ორი 20-ქულიანი ამოცანა**. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევათ **3 საათი და 30 წუთი**.

„ა“ ნაწილის ექვსი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ცხრა – თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა წარმატებით გაართვეს თავი:

- გამოსავლიანობის აღრიცხვა;
- რელევანტური დანახარჯები;
- ქვედანაყოფის საქმიანობის შედეგების შეფასება და შიდა გადაცემის ფასდადგენა.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომელიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდი;
- დანახარჯთა კალკულაცია სასიცოცხლო ციკლის მიხედვით;
- საქმიანობის შედეგების შეფასება არაკომერციულ ორგანიზაციებსა და კერძო სექტორის საწარმოებში.

„ბ“ ნაწილის პირველი სცენარი იყო შედგენილი თემა „დანახარჯთა კალკულაციის თანამედროვე მეთოდები“, მეორე – „გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა“, ხოლო მე-სამე – „საქმიანობის შედეგების შეფასება და კონტროლი“.

„გ“ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა - ფასდადგენა“.

„გ“ ნაწილის მეორე ამოცანა ეხებოდა თემას „ბიუჯეტის შედგენა“.

კარგად მომზადებულმა კანდიდატებმა მაღალი ქულა მიიღეს პირველი ამოცანის ამოხსნისთვის, მაგრამ მეორე ამოცანის ამოხსნა ბევრ მათგანს გაუჭირდა.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს მიეცათ 3 საათი და 30 წუთი. **F5/სშმ მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად, კერძოდ: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, „ბ“ ნაწილი - 65 წუთში, ხოლო „გ“ ნაწილი - 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოხსნას 42-43 წუთში.**

F5/სშმ „საქმიანობის შედეგების მართვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	61
მინიმალური ნიშანი	37
მაქსიმალური ნიშანი	96
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	4
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	64%	65%	65%	68%	82%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	35%	39%	40%	41%	43%

F6/სდ „საგადასახადო დაბეგვრა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო ოცი 2-ქულიანი არჩევითი პასუხიანი დავალება და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის ოთხი დავალება თეორიული იყო, ხოლო თექვსმეტი - საანგარიშო. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითი პასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა წარმატებით გაართვეს თავი:

- მუხლი 202. ქონებაზე გადასახადის განაკვეთი;
- მუხლი 201. ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი;
- მუხლი 280. გადასახადის უკანონოდ ჩათვლა;
- მუხლი 282. დღგ-სათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა.
- კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:
- მუხლი 82. გადასახადისგან გათავისუფლება;
- მუხლი 189. აქციზის ჩათვლა;
- მუხლი 198. გადასახადის დარიცხვისა და გადახდის წესი.

„ბ“ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „სამემოსავლო გადასახადი“, მეორე ამოცანა - „მოგების გადასახადი“ (ესტონური მოდელი), ხოლო მესამე ამოცანა - „დამატებული ღირებულების გადასახადი“.

კანდიდატების უმრავლესობამ კარგად დაწერა პირველი ამოცანის პასუხი, თუმცა ცუდად მომზადებულ კანდიდატებს გაუჭირდათ დეკლარაციის შევსება. სამი ამოცანიდან განსაკუთრებულად გაუჭირდათ მეორე ამოცანის ამოხსნა, ბევრმა კარგად მომზადებულმა კანდიდატმაც ვერ შეასრულა მოთხოვნილი გაანგარიშებები და ვერ შეავსო დეკლარაცია. მესამე ამოცანა ითვალისწინებდა კოდექსში შესული ცვლილებების ცოდნას და ბევრმა კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მისაღებ დონეზე დაწერა ამ ამოცანის პასუხი, თუმცა ძალიან ბევრმა კანდიდატმა ვერ შეძლო აქციზის და მასთან დაკავშირებული დღგ-ს გამოთვლა.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. დავალებების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. **F6/სბ მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად, კერძოდ: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათსა და 25 წუთში, ხოლო „ბ“ ნაწილი - 2 საათსა და 5 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოხსნას 41-42 წუთში.**

F6/სბ „საგადასახადო დაბეგვრა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	56
მინიმალური ნიშანი	21
მაქსიმალური ნიშანი	84
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	8
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	1

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	93%	100%	85%	88%	85%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	49%	49%	51%	50%	49%

F7/ფა „ფინანსური ანგარიშგება“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება, სამი ათქულიანი სცენარი (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას) და ორი 20-ქულიანი ამოცანა. დავალებების ამოსახსნელად კანდიდატებს მიეცათ 3 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის ექვსი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ცხრა - თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- საინვესტიციო ქონების შეფასება;
- კონცეპტუალური საფუძვლები;
- ბასს 41 სოფლის მეურნეობა;
- ბასს 16 ძირითადი საშუალებები;
- ბასს 33 შემოსავალი აქციაზე.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომელიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- ფასს 5 - გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები;
- ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებაში და შეცდომები;
- ბასს 23 - ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები.

„ბ“ ნაწილის თერთმეტი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ოთხი - თეორიული. პირველი სცენარი იყო შედგენილი თემა „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“, მეორე - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება“, ხოლო მესამე - „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“. „ბ“ ნაწილის დავალებების ამოხსნისას კანდიდატებს გაუჭირდათ მესამე სცენარის დავალებებისთვის თავის გართმევა.

„გ“ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების ანალიზი“, ხოლო მეორე - „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება“. კანდიდატების უმრავლესობამ მეორე ამოცანა უკეთესად დაწერა.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. დავალებების შესასრულებლად მათ ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. **F7/ფა მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად, კერძოდ: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, „ბ“ ნაწილი - 65 წუთში, ხოლო „გ“ ნაწილი - 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.**

F7/ფა „ფინანსური ანგარიშგება“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	59
მინიმალური ნიშანი	16
მაქსიმალური ნიშანი	100
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	9
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	1

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	51%	71%	67%	57%	80%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	44%	50%	48%	51%	50%

F8/ამმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო სამი ათქულიანი სცენარი (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას), ერთი 30-ქულიანი და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის პირველი სცენარი იყო შედგენილი თემის - „აუდიტორული მტკიცებულება“, მეორე - თემის „მიდა კონტროლი“, ხოლო მესამე - თემის „დაგეგმვა და რისკის

შეფასება“ მიხედვით. „ბ“ ნაწილის დავალებების ამოხსნისას კანდიდატებს გაუჭირდათ პირველი სცენარის დავალებების ამოხსნა.

„ბ“ ნაწილის პირველი ამოცანა ამოწმებდა თემის „შიდა კონტროლი და აუდიტორული მტკიცებულება“ ცოდნას, მეორე ამოცანა ეხებოდა თემას „დაგეგმვა და რისკის შეფასება“, ხოლო მესამე ამოცანა – თემას „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“. კანდიდატების უმრავლესობამ კარგად დაწერეს პირველი და მესამე ამოცანის პასუხი, მაგრამ მეორე ამოცანის პასუხი ხშირად შედარებით სუსტი იყო.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. დავალებების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. **F8/ამმ მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად, კერძოდ :** კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, „ბ“ ნაწილის პირველი ამოცანა (30-ქულიანი) – 65 წუთში, ხოლო „გ“ ნაწილის მეორე და მესამე ამოცანები – 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.

F8/ამმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	55
მინიმალური ნიშანი	39
მაქსიმალური ნიშანი	78
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	1
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	79%	98%	80%	70%	84%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	36%	41%	39%	39%	38%

F9/ფმ „ფინანსური მართვა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო **თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება, სამი ათქულიანი სცენარი** (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევით-პასუხიან დავალებას) და **ორი 20-ქულიანი ამოცანა**. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის ექვსი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ცხრა – თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა წარმატებით გაართვეს თავი:

- ინვესტიციების შეფასება – უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე;
- კაპიტალის სტრუქტურა.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომელიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება;
- კომპანიების შეფასებები და ბაზრის ეფექტურობა;
- დაფინანსების წყაროები.

„ბ“ ნაწილის ექვსი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ცხრა – თეორიული. პირველი სცენარი იყო შედგენილი თემის „კომპანიების დაფინანსება და კაპიტალის ღირებულება“, მეორე თემის – „ბიზნესის (კომპანიის) შეფასება“, ხოლო მესამე თემის – „რისკის მართვა“ მიხედვით. კანდიდატებმა კარგად ამოხსნეს პირველი და მეორე სცენარის დავალებები, მაგრამ უმეტესმა, მცდარი პასუხი გასცა მესამე სცენარის კითხვებს.

„გ“ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „საბრუნავი კაპიტალის მართვა“, ხოლო მეორე ამოცანა – თემას „ინვესტიციების შეფასება“. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად დაწერეს პირველი ამოცანის პასუხი, მაგრამ ბევრმა სუსტი პასუხი გასცა მეორე ამოცანის კითხვებს.

კანდიდატების უმრავლესობამ თითქმის ყველა დავალებას გასცა პასუხი. დავალებების შესასრულებლად კანდიდატებს მიეცათ 3 საათი და 30 წუთი. **F9/ფმ მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად, კერძოდ კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, „ბ“ ნაწილი – 65 წუთში, ხოლო „გ“ ნაწილი – 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.**

F9/ფმ „ფინანსური მართვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	59
მინიმალური ნიშანი	42
მაქსიმალური ნიშანი	77
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	2
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	59%	50%	69%	60%	88%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	44%	52%	45%	53%	50%

P2/სსა „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო **ოთხი ამოცანა** – ერთი 30-ქულიანი, ერთი 20-ქულიანი და ორი 25-ქულიანი. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატებს მიეცათ **3 საათი და 30 წუთი**.

პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება“ და მოიცავდა ოთხ ნაწილს.

„ა1“ ნაწილში (7 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის შეძენისას წარმოქმნილი გუდვილის ღირებულების გამოთვლა და ასახვა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

პირველი ამოცანის „ა2“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა შვილობილი საწარმოს გაანგარიშებისას საკურსო სხვაობის წარმოქმნის მიზეზის ახსნა და მისი ასახვა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

პირველი ამოცანის „ა3“ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა უცხოური ქონების სწორი სააღრიცხვო მიდგომის ჩამოყალიბება, ასევე – აუცილებელი კორექტირებების გაკეთება და გამოთვლების ჩატარება.

„ბ“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის სამუშაო ვალუტის განსაზღვრა ბასს 21-ში მოცემული პრინციპების გამოყენებით.

ბევრმა კანდიდატმა ძალიან კარგი და ამომწურავი პასუხი გასცა ამოცანის კითხვებს და მაღალი ქულა მიიღო.

მეორე ამოცანა ეხებოდა თემას „ანგარიშგება და ეთიკა“ და შედგებოდა 18-ქულიანი სცენარისგან და ასევე გათვალისწინებული იყო 2 პროფესიული ქულა.

18-ქულიანი სცენარი, თავის მხრივ, შედგებოდა ოთხი ნაწილისგან.

პირველი ნაწილი ეხებოდა მოთხოვნების გაყიდვას ფაქტორინგული კომპანიის შემთხვევაში (4 ქულა), მეორე ნაწილი – სესხს და საკუთარ კაპიტალს (4 ქულა), მესამე ნაწილი – საიჯარო ხელშეკრულებას (4 ქულა), ხოლო მეოთხე ნაწილი მოიცავდა ეთიკურ საკითხებს.

ბევრმა კანდიდატმა სრულყოფილი და ამომწურავი პასუხი გასცა ამოცანის ყველა კითხვას და მაღალი ქულები მიიღო.

მესამე ამოცანა შედგებოდა ოთხი, „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ნაწილებისგან:

„ა“ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის მიერ მიღებული აქციებისა და როიალტის აღიარება და შეფასება ამონაგების სახით.

„ბ“ ნაწილის პირველ კითხვაში (2 ქულა) მოითხოვებოდა ინვესტიციის კლასიფიცირება.

„ბ“ ნაწილის მეორე კითხვაში (4 ქულა) მოითხოვებოდა გადაცემული აქტივის აღიარების შეწყვეტა და გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შედეგის, მოგების ან ზარალის აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში.

„გ“ ნაწილის კითხვაში (6 ქულა) მოითხოვებოდა იმის შეფასება, რომ საპენსიო პროგრამის მიმდინარე სააღრიცხვო მიდგომა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

„დ“ ნაწილის კითხვაში (5 ქულა) მოითხოვებოდა იმის დადგენა, რა ოდენობის ვალდებულება და ხარჯი უნდა ასახოს კომპანიამ აქციის ფასის ზრდით განპირობებული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული უფლებებისთვის.

კანდიდატების უმრავლესობას გაუჭირდა ამოცანის ამოხსნა, განსაკუთრებით სუსტად დაწერეს ამოცანის „ა“ და „ბ“ ნაწილი.

მეოთხე ამოცანა მოიცავდა ორ „ა“ და „ბ“ ნაწილებს და გათვალისწინებული იყო 2 პროფესიული ქულა.

„ა“ ნაწილის კითხვაში (6 ქულა) მოითხოვებოდა იმის შეფასება, სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის შესაძლებლობა ახდენს თუ არა გავლენას სამართლიანად წარდგენასა და შესაძარისობაზე.

„ბ“ ნაწილის პირველ კითხვაში (12 ქულა) მოითხოვებოდა მსჯელობა გამოყენებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის შესახებ.

„ბ“ ნაწილის მეორე კითხვაში (5 ქულა) მოითხოვებოდა იმაზე მსჯელობა, რა გავლენა მოახდინა სპეციალური დანიშნულების საწარმოს (სდს) შექმნამ გამოყენებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტზე.

ბევრმა კანდიდატმა ძალიან სუსტად დაწერა ამ ამოცანის პასუხი ან საერთოდ არ გასცა პასუხი.

კანდიდატების უმრავლესობამ თითქმის ყველა დავალებას გასცა პასუხი. დავალებების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. P2/სსა მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად, კერძოდ: კანდიდატმა „ა“ ნაწილის პირველი ამოცანა უნდა ამოხსნას 1 საათში, „ა“ ნაწილის მეორე ამოცანა - 45 წუთში, ხოლო „ბ“ ნაწილის მესამე და მეოთხე ამოცანები - 1 საათსა და 45 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 52-53 წუთში.

P2/სსა „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	50
მინიმალური ნიშანი	23
მაქსიმალური ნიშანი	66
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	0
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	1

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	36%	59%	70%	54%	75%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	51%	49%	47%	44%	48%

P4/ფაუდ „ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო ერთი 20-ქულიანი, ერთი 30-ქულიანი და ორი 25-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „ინვესტიციების შეფასება“.

„ა“ ნაწილში (12 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის კაპიტალური ინვესტიციის გეგმის მონახაზის ჩამოყალიბება.

„ბ“ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა იმის შეფასება, თუ რა მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის პირობებში შეიძლება დააფინანსოს კომპანიამ მის ხელთ არსებული დარჩენილი პროექტები

ყველა კანდიდატმა სცადა ამოცანის ამოხსნა და უმრავლესობამ მაღალი ქულა მიიღო ყველა კითხვაზე პასუხისთვის.

მეორე ამოცანა ეხებოდა თემას „შესყიდვა და შერწყმა“.

„ა“ ნაწილში (16 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის აქციებზე სამთვლიანი და ექვსთვლიანი ოფციონების ფასის გამოთვლა.

„ბ“ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა საკონტროლო პაკეტის დაუყოვნებლივი შეძენისას, გაერთიანებული კომპანიის ღირებულების გამოთვლა.

„გ“ ნაწილში (6 ქულა) მოითხოვებოდა მოკლე მოხსენებითი ბარათის მომზადება, რომელშიც ყურადღება გამახვილდება ოფციონების გამოყენების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე.

კანდიდატების უმრავლესობამ მხოლოდ „ა“ ნაწილის კითხვას უპასუხა, ამგვარად მიიღეს საშუალო ქულა. „ბ“ ნაწილის პასუხი ბევრმა საერთოდ გამოტოვა.

მესამე ამოცანა ეხებოდა თემას „კორპორაციული რესტრუქტურიზაცია და რეორგანიზაცია“.

ამ ამოცანაში (25 ქულა) მოითხოვებოდა პირობაში აღწერილი შემთხვევის სტრატეგიული, ფინანსური და ეთიკური საკითხებისა და შეთავაზებული აქციის ოფციონისა და უკუიჯარის სქემების უპირატესობების მიმოხილვა.

მეოთხე ამოცანა ეხებოდა თემას „როლი და პასუხისმგებლობა დაინტერესებულ მხარეთა მიმართ“.

ამ ამოცანაში (25 ქულა) მოითხოვებოდა მოხსენებითი ბარათის მომზადება დირექტორთა საბჭოსთვის, რომელშიც შეფასებული იქნება ორივე შეთავაზების უპირატესობები და ნაკლოვანებები და ასევე უნდა განისაზღვროს ნებისმიერი სხვა სტრატეგია, რომელიც შესაძლებელი იქნება კომპანიისთვის.

ბევრმა კანდიდატმა კარგი და ამომწურავი პასუხი გასცა ამოცანის ყველა კითხვას.

კანდიდატების უმრავლესობამ თითქმის ყველა დავალებას გასცა პასუხი. დავალებების შესასრულებლად კანდიდატებს მიეცათ 3 საათი და 30 წუთი. **P4/ფაუდ მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ „ა“ და „გ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად, კერძოდ: კანდიდატმა 20-ქულიანი ამოცანა 40 წუთში უნდა ამოხსნას, 30-ქულიანი – 1 საათსა და 5 წუთში, ხოლო 25-ქულიანი ამოცანები, თითოეული, 52-53 წუთში.**

P4/ფაუდ „ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	43
მინიმალური ნიშანი	6
მაქსიმალური ნიშანი	61
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	0
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	1

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	56%	65%	29%	88%	67%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	33%	37%	42%	39%	41%

P7/ამმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო ერთი 50-ქულიანი და ორი 25-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს მიეცა 3 საათი და 30 წუთი.

პირველი ამოცანა მოიცავდა ოთხ – „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ნაწილებს და 4 პროფესიულ

ქულას.

„ა“ ნაწილში (24 ქულა) მოითხოვებოდა აუდიტის რისკის შეფასება ჯგუფის აუდიტის პროცესის დაგეგმვისას.

„ბ“ ნაწილში (6 ქულა) მოითხოვებოდა აუდიტორული პროცედურების შემუშავება, რომელიც უნდა გამოიყენონ კომპანიის შესყიდვის დროს წარმოქმნილი გუდვილის შესამოწმებლად.

„გ“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა დანართში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აუდიტის ფაილიდან ამონარიდის შეფასება და მსჯელობა მის გავლენაზე, ჯგუფის აუდიტის წარმართვის პროცესთან დაკავშირებით.

„დ“ ნაწილში (6 ქულა) მოითხოვებოდა მსჯელობა კომპანიის ინტეგრირებული ანგარიშების საკითხებზე.

კანდიდატების უმრავლესობამ კარგად უპასუხა ამოცანის ყველა კითხვას და შედარებით კარგი ქულა მიიღო.

პროფესიული ქულებით (4 ქულა) ფასდებოდა კანდიდატი ტექსტის წარდგენის, გარკვევით ახსნისა და ლოგიკური თანმიმდევრობისთვის. როგორც წესი, სუსტმა კანდიდატებმაც მიიღეს 2-2 პროფესიული ქულა ანგარიშის დასათაურებისა და მოკლე შესავლისთვის.

მეორე ამოცანა მოიცავდა სამ – „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილებს.

„ა“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა ანალიზური მიმოხილვის გამოყენებით იმ საკითხების შეფასება, რომელმაც შეიძლება საეჭვო გახადოს კომპანიის უნარი, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

„ბ“ ნაწილში (9 ქულა) მოითხოვებოდა იმ აუდიტორული მტკიცებულებების ახსნა, რომლის ნახვასაც აუდიტორი მოელის ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვისას, ფულადი ნაკადის პროგნოზთან მიმართებაში.

„გ“ ნაწილში (6 ქულა) მოითხოვებოდა იმ შესაძლო მიზეზების ახსნა, რის გამოც დირექტორებს შეიძლება სურდეთ საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის არგამჟღავნება და იმის შეფასება, როგორი გავლენა ამას ექნება აუდიტორის დასკვნაზე.

კანდიდატების უმრავლესობამ შედარებით კარგად დაწერს მეორე ამოცანის სამივე ნაწილის პასუხი და მიიღო საშუალო ქულები.

მესამე ამოცანა მოიცავდა სამ – „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილებს.

„ა“ ნაწილში (9 ქულა) მოითხოვებოდა ეთიკური და პროფესიული საკითხების გამოვლენა და ახსნა.

„ბ“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა პირობაში მოცემული განსახილველი საკითხების აღწერა და აუდიტორული მტკიცებულებების ახსნა.

„გ“ ნაწილის პირველ კითხვაში (6 ქულა) მოითხოვებოდა დამატებითი ღონისძიებების ახსნა, რომელთა შესრულება აუცილებელია აუდიტორის დასკვნაზე ხელმოწერამდე.

„გ“ ნაწილის მეორე კითხვაში (5 ქულა) მოითხოვებოდა განხილვა, თუ რა გავლენას მოახდენს აუდიტორის დასკვნაზე ის ფაქტი, რომ ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნება შეტანილი.

კანდიდატებმა შედარებით კარგად უპასუხეს ამოცანის ყველა კითხვას.

P7/ამმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	54
მინიმალური ნიშანი	31
მაქსიმალური ნიშანი	74
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	0
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	83%	41%	53%	50%	86%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	33%	33%	35%	32%	34%

სბლ „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო **ერთი 100-ქულიანი სცენარი**, რომელიც მოიცავდა ოთხ დავალებას. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატებს მიეცათ **4 საათი და 30 წუთი**.

პირველი დავალების „ა“ ნაწილში (12 ქულა) მოითხოვებოდა საკონსულტაციო ანგარიშის ნაწილის მომზადება ამოცანის პირობაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომელშიც გაანალიზებული უნდა ყოფილიყო ჯგუფის პორტფელში შემავალი სამივე კომპანიის შედეგები და თითოეულის წვლილი ჯგუფის საერთო შედეგებში.

პირველი დავალების „ბ“ ნაწილში (9 ქულა) მოითხოვებოდა საკონსულტაციო ანგარიშის ნაწილის მომზადება ამოცანის პირობაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომელშიც უნდა ყოფილიყო რჩევა ჯგუფის ხელმძღვანელობისადმი მის პორტფელში არსებულ სამივე კომპანიასთან მიმართებაში, სამომავლო სტრატეგიებზე.

პროფესიულ უნარებში (4 ქულა) ქულები იწერებოდა დავალების „ა“ და „ბ“ ნაწილებში შედეგების და მათი სტრატეგიული მნიშვნელობის გაანალიზების დროს ანალიზის უნარის გამოვლენისას.

პირველი დავალების გ ნაწილში (18 ქულა) მოითხოვებოდა აეროპორტის მოსალოდნელი შესყიდვის ოპერაციის კრიტიკულად შეფასება შესაბამისი მოდელის გამოყენებით.

პროფესიულ უნარებში (4 ქულა) ქულები იწერებოდა მოსალოდნელი ოპერაციის კრიტიკული შეფასებისას სკეპტიციზმის უნარის გამოვლენაში.

მეორე დავალების „ა“ ნაწილში (6 ქულა) მოითხოვებოდა საბჭოსთვის წარსადგენად ორი პრეზენტაციის სლაიდის დამხმარე შენიშვნებით მომზადება, რომელშიც განხილული იქნებოდა ერთ-ერთ კომპანიასთან დადებულ კონტრაქტის შედეგებთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები და მათი გაგრძელების შესაძლებლობა.

პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა დირექტორებისთვის, პრეზენტაციის წარდგენის დროს კომუნიკაციის უნარის გამოვლენისას.

მეორე დავალების „ბ“ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა პრეზენტაციის სლაიდის დამხმარე შენიშვნებით მომზადება, რომელშიც განიხილავდნენ დიდი მონაცემების ანალიზის სარგებელს.

პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა დიდი მონაცემების ანალიტიკის სარგებლის გაანალიზების დროს კომერციული ალღოს უნარის გამოვლენისთვის.

მესამე დავალების „ა“ ნაწილში (6 ქულა) მოითხოვებოდა სათანადო მოდელის გამოყენებით, მოცემული სამი დაკავშირებულ მხარეთა ჯგუფის ძალაუფლებისა და ინტერესის გაანალიზება.

პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა დაკავშირებულ მხარეთა ანალიზის დროს შეფასების უნარის გამოვლენისას.

მესამე დავალების „ბ“ ნაწილში (3 ქულა) მოითხოვებოდა დავალების „ა“ ნაწილში გაკეთებული ანალიზის საფუძველზე, თითოეულ დაკავშირებულ მხარეთა ჯგუფის მართვის სტრატეგიაზე რეკომენდაციის გაცემა.

პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა რეკომენდაციების გაცემის დროს კომერციული ალღოს უნარის გამოვლენისთვის.

მეოთხე დავალების „ა“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა დამატებითი დაცვის დაქირავების გადაწყვეტილების ეთიკურ ჭრილში შეფასება შესაბამისი მოდელის გამოყენებით.

პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა ეთიკური პრობლემის შეფასების დროს შეფასების უნარის გამოვლენისას.

მეოთხე დავალების „ბ“ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა მოკლე შენიშვნების მომზადება, სადაც უნდა განემარტათ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსი და ემსჯელათ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჭრილში, თუ რა განსხვავებები შეიძლება არსებობდეს კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებს შორის.

პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ირგვლივ მსჯელობის დროს კომუნიკაციის უნარის გამოვლენისას.

სბლ „სტრატეგიული ბიზნეს ლიდერი“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	47
მინიმალური ნიშანი	18
მაქსიმალური ნიშანი	62
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	0
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	2

ბაფი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი	2022 წ. იანვარი
	64%	63%	47%	75%	67%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი	2021 წ. დეკემბერი
	47%	51%	49%	46%	51%

გადასახადების გადამხდელთა ინფორმირება გადასახადების მიმართ საჯარო ნდობის ასამაღლებლად



Think Ahead

გლობალური და ევროკავშირის ექსპერტებმა განიხილეს, თუ რა არის აუცილებელი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობისა და საჯარო ნდობის გასაძლიერებლად გადასახადების მიმართ. ვებინარი ACCA-სა და IFAC-ის ერთობლივი ორგანიზაციით განხორციელდა OECD-სთან კოლაბორაციით და მას 1200-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა, მსოფლიოს 110 ქვეყნიდან.

იმისათვის, რომ პასუხისმგებლიანი საგადასახადო გადაწყვეტილებები მიიღონ, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა, უნარები და რწმენა საგადასახადო სისტემებისადმი.

აღნიშნული უნარების მისაღებად რამდენიმე გზა არსებობს, მათ შორის - გადასახადების შესწავლა - გადასახადის გადამხდელთა ინფორმირება საგადასახადო სისტემაზე, როგორ მუშაობს ის და რატომ არის მნიშვნელოვანი.

თუმცა, გადასახადის გადამხდელთა ინფორმირება მხოლოდ საგადასახადო ადმინისტრატორთა საქმე არ არის.

წარმატებისთვის აუცილებელია კოლაბორაცია და პარტნიორობა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა სკოლები, პროფესიონალური ორგანოები,



გრეის პერეზ-ნავარო

OECD-ს საგადასახადო პოლიტიკისა და ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილე

ბიზნესსასოციაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები. აღნიშნული ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა საგადასახადო ორგანოების შე-



შელენ ბრენდი
ACCA-ს
აღმასრულებელი
დირექტორი

საძლებლობები ისედაც ბევრ გამოწვევას უმკლავდება კოვიდპანდემიიდან გამომდინარე და მისი რესურსები მკვეთრად შეზღუდულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ACCA-მ და IFAC-მა OECD-სთან თანამშრომლობით, მოაწყო გლობალური ონლაინდონისძიება OECD-ს ახალი ანგარიშის შედეგების განსახილველად, სახელწოდებით, საგადასახადო კულტურის მშენებლობა, შესაბამისობა და მოქალაქეობა: გლობალური წიგნი გადასახადების გადამხდელთა განათლებაზე. აღნიშნულ ანგარიშში იდენტიფიცირებულია სამი ძირითადი მიდგომა - გადასახადების სწავლება, გადასახადების კომუნიკაცია და გადასახადების გადამხდელთა მხარდაჭერა, შესაბამისობის კუთხით.

OECD-ს საგადასახადო პოლიტიკისა და ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილემ, **გრეის პერემ-ნავარომ** ამ სამ ძირითად ასპექტთან დაკავშირებით განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ მიდგომას შორის არის განსხვავებები, არსებობს საერთო ხაზებიც. სამიზნე აუდიტორიის შერჩევა და მასზე წვდომის მოპოვება ხშირად ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ჩვენ ვერ დავეყრდნობით სამიზნე აუდიტორიაზე წვდომის არსე-

ბულ ხელაწყოებს, უნდა ვიპოვოთ ახალი გზები. ამ პროგრამების წარმატებისთვის უმთავრესია ისეთი პარტნიორების მოძებნა, ვისაც იცნობს და ენდობა სამიზნე აუდიტორია. გადასახადის გადამხდელთა ინფორმირება გრძელვადიანი პროექტია - ის ცვლის კულტურას და ეს ერთ ღამეში ვერ მოხდება, ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ რეალისტები ჩვენს მოლოდინებთან დაკავშირებით. რესურსების მოძიება და მიწოდების უწყვეტობა უნივერსალური გამოწვევაა, ასევე მნიშვნელოვანია შედეგების დროულობაც.“

ACCA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა **შელენ ბრენდმა** კი აღნიშნა: „იმისათვის, რომ შეიქმნას საჯარო ნდობა საგადასახადო სისტემების მიმართ, მნიშვნელოვანია მოქალაქეებს მივაწოდოთ ინფორმაცია იმაზე, თუ როგორ მუშაობს საგადასახადო სისტემა, გადასახადის გადამხდელთა უფლება-მოვალეობები; და რაც მთავარია, როგორ შეიძლება მოქალაქეებმა იქონიონ გავლენა საგადასახადო სისტემის განვითარებაზე. ACCA-ში გადაწყვეტით, ჩვენი როლი ვითამაშოთ განათლების გზით, ასევე ტექნიკური და პოლიტიკური ანგარიშებით, რომელთაც ჩვენ გამოვცემთ.“

წყარო: accaglobal.com

გლობალური მიწოდების ჯაჭვები დამატებითი არეულობის წინაშე 2022 წელს



მაშინ, როცა საზოგადოება უფრო ეთიკური და მდგრადი მოდელისკენ მიისწრაფვის, ბუღალტრებს, შესყიდვებისა და მიწოდების ჯაჭვის პროფესიონალებს ერთობლივი მუშაობის ახალი შესაძლებლობები ექმნებათ.

მიწოდების ჯაჭვების გამძლეობა დიდი გამოცდის ქვეშ დადგა 2021 წელს, რაც გამოწვეული იყო გლობალური პანდემიით, ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენებით, საპორტო ოპერაციების შეფერხებითა და პოლიტ-ეკონომიკური გაურკვევლობით.

ტურბულენტობის დასრულების მცირე ნიშნების პარალელურად, ბუღალტრებმა და შესყიდვების ექსპერტებმა შექმნეს „თანამშრომლობის ქარტია“, რომელიც მოიცავს ახლო თანამშრომლობას გლობალური მიწოდების ჯაჭვების სირთულეების უკეთ გასაგებად და გასათვალისწინებლად. ის, ძირითადად, ფოკუსირდება ორგანიზაციების მიერ საზოგადოებისთვის ღირებულების შექმნაზე, რაც უფრო მეტია, ვიდრე ტრადიციული მოგების მოტივი.

ACCA-მ, პარტნიორ ორგანიზაციებთან – CIPS და IMA-სთან ერთად გამოაქვეყნა ახალი კვლევა, სახელწოდებით, „მიწოდების ჯაჭვები: ფინანსების პროფესიონალის ხედვა“, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის პროფესიონალთა შეხედულებებს.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ მუდმივი შეფერხებების გამო, აუცილებელია მოგვარდეს ძირითადი ხარვეზები, რო-

გორიცაა, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ორგანიზაციებს ბოლომდე არ ესმით, თუ როგორია მათი მიწოდების ჯაჭვი; რომ რეგულაციები იზრდება და მკაცრდება; რომ იზრდება ფინანსურ და არაფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ბიზნესმოდელების სწრაფი ტემპით ცვლა ნიშნავს, რომ შესყიდვა-მიწოდების პროფესიონალებს და ფინანსურ ჯგუფებს მოუწევთ ახლო თანამშრომლობა დაგეგმვის, სამუშაო კაპიტალის მართვის, ეთიკური მიწოდების ჯაჭვების შექმნისა და საწარმოს რისკების მართვის პროცესებში.

ACCA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა **ჰელენ ბრანდმა** განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ გაძლიერებულია მარეგულირებელთა კონცენტრაცია მიწოდების ჯაჭვებზე, აუცილებელია ძლიერი ეთიკური მიდგომა ცუდ სამუშაო პირობებსა და სხვადასხვა თანამედროვე სოციალურ საკითხებზე. ეს კრიტიკული საკითხებია, სადაც ბუღალტრებსა და მიწოდების ჯაჭვის პროფესიონალებს შესაძლებლობა აქვთ, ერთობლივად შეცვალონ რეალობა.“

შესყიდვებისა და მომარაგების ინსტიტუტის (CIPS) ჯგუფის აღმასრულებელმა დირექტორმა **მალკოლმ ჰარისონმა** განმარტა: „პროფესიული გამოცდილების გამოყენებით, ახლო თანამშრომლობით, ფინანსებისა და მიწოდების ჯაჭვების ჯგუფს შეუძლია ახალი ღირებულება მოუტანოს ორგანიზაციებს, მომხმარებლებს, მომწოდებლებსა და ინვესტორებს.“



მალკოლმ ჰარისონი

შესყიდვებისა და მომარაგების
ინსტიტუტის (CIPS) ჯგუფის
აღმასრულებელი დირექტორი



ჯეფრი ტომსონი

IMA-ს პრეზიდენტი და
აღმასრულებელი დირექტორი

მიწოდების ჯაჭვებში მნიშვნელოვანი გამოწვევებია, ასევე გაიზარდა ინვესტორებისა და მომხმარებლების ფოკუსი ეთიკაზე. შესყიდვებისა და ფინანსების პროფესიონალთა ურთიერთშემავსებელი უნარები საჭიროა იმისთვის, რომ ორგანიზაციას ჰქონდეს მიწოდების ჯაჭვი, რომელსაც შეიძლება ის დაეყრდნოს. ძლიერი ეთიკური პოზიცია უნდა იყოს ნებისმიერი პროფესიის ბირთვში. შესყიდვებისა და ფინანსების პროფესიონალებს შესაძლებლობა აქვთ, შექმნან სანდო ბიზნესი პლანეტისა და მისი მოქალაქეებისთვის.“

IMA-ს პრეზიდენტმა და აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯეფრი ტომსონმა** დასძინა: „ჩვენს ორ დისციპლინას შორის შინაარსიანი თანამშრომლობა შესაძლოა ყველასთვის სასარგებლო აღმოჩნდეს

– შესაძლებლობების გაზრდა, ბიზნესისა და მომხმარებელთა შეფერხებების მართვა გაურკვევლობების შემცირების გზით, რაც ერთობლივად მიმართული იქნება საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანისკენ. ბუღალტრების მხრიდან საჭიროა რელევანტური, ზუსტი და ინფორმირებული რჩევების გზით მხარდაჭერა. ამ გზით შესაძლებელი გახდება გავაძლიეროთ ურთიერთობა მიწოდების ჯაჭვისა და ფინანსების ფუნქციებს შორის.“

იმისათვის, რომ ფინანსურ და მიწოდების ჯაჭვის გუნდებს ძალთა გაერთიანებაში დაეხმაროს, „თანამშრომლობის ქარტია“ ხაზს უსვამს საქმიანობის ათ სფეროს, რომელშიც შესაძლებელია წარმატების მიღწევა.

წყარო: accaglobal.com

ვებგვერდი, 23/02/2022
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020522

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 39-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ძ“ ქვეპუნქტი:

„ძ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
16 თებერვალი 2022 წ.
N1384-VIIIმს-Xმპ

ვებგვერდი, 28/01/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017546

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №18 2022 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 11¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.“.

2. 22¹ მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სავარაუდო დარიცხვა შეიძლება გაუქმდეს შესწორებითი დარიცხვით:

ა) საგადასახადო შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღებული საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის გზით. ამ შემთხვევაში, პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება დაგვიანებულად წარდგენილად ჩაითვლება.“

3. 37-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაცია

1. პირი, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დეკლარაციას საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ, №II-06 დანართის მიხედვით.

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიზნებისთვის, თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელი, გარდა ფიზიკური პირისა, არ წარადგენს საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაციას, არ ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.“

4. მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი და „შენიშვნა“:

„3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიზნებისთვის, თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელი არ წარადგენს მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას, არ ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.“

5. 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „შენიშვნა“:

„შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

ვებგვერდი, 02/02/2022
სარეგისტრაციო კოდი
200230040.22.033.017550

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №31
2022 წლის 1 თებერვალი ქ. თბილისი**

**„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებით (სსმ, №172, 31.12.2010, სარეგისტრაციო კოდი 200230040.22.033.016103) დამტკიცებული „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-18 მუხლის:

1. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ მცირე ბიზნესი განხორციელებს მცირე ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას ან საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაეკისრება ჯარიმა, საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მცირე ბიზნესის სტატუსს იმ კალენდარული წლის დასაწყისიდან, რომელშიც პირმა დაიწყო აკრძალული საქმიანობა ან საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის დაეკისრა სამი ჯარიმა.“.

2. „მაგალითი 2“-ის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მაგალითი 3“:

„მაგალითი 3:

პირობა: გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებული აქვს 2019 წლის 1 იანვრიდან. 2021 წელს საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლინდა, რომ ფიზიკური პირი 2019 წელს ახორციელებდა მცირე ბიზნესისათვის აკრძალულ საქმიანობას. კერძოდ, პირი ფლობდა სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიას და მოიპოვებდა სასარგებლო წიაღისეულს. პირის მიერ მცირე ბიზნესისათვის აკრძალული საქმიანობის განხორციელებას 2020 და 2021 წლების განმავლობაში ადგილი არ ჰქონია.

ანალიზი: საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის გათვალისწინებით, ამ კოდექსით დადგენილი ვადა განისაზღვრება იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ პირი ახორციელებს მცირე ბიზნესისათვის აკრძალულ საქმიანობას. აღნიშნული საფუძველით მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ითვლება იმ კალენდარული წლის დასაწყისიდან, რომელშიც პირმა დაიწყო აკრძალული საქმიანობა.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, მცირე ბიზნესისათვის აკრძალული საქმიანობის განხორციელების ფაქტი წარმოადგენს პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველს. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელი სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსულად ჩაითვლება 2019 წლის 1 იანვრიდან.

შედეგი: გაუქმდება შესაბამისი საანგარიშო პერიოდების მიხედვით ყოველთვიური დეკლარაციების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები და 2019 წლის დასაწყისიდან მიღებული შემოსავალი დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №40
2022 წლის 8 თებერვალი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი NII-041 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. 33¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 33¹. აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწოდებელი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია

ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობას, საგადასახადო ორგანოში წარადგენს აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწოდებელი პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა NII-041 დანართის ფორმით.“.

3. 33² მუხლის:

- ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 33². აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწოდებელი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შეესება“;

- ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. დეკლარაციის III ნაწილის:

ა) პირველ სტრიქონის მე-3 სვეტში აისახება აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწოდებელი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობის თანხა;

ბ) პირველ სტრიქონის მე-4 სვეტში აისახება კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის ნაწილში (სვ. 4=პირველი სტრიქონის სვ.3*10%);

გ) მე-2 სტრიქონის მე-3 სვეტში აისახება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწოდებელი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი;

დ) მე-2 სტრიქონის მე-4 სვეტში აისახება კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის ნაწილში (სვ.4=მეორე სტრიქონის სვ.3*7%).“.

4. 38-ე მუხლის:

- ა) მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) 21-ე უჯრაში – არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომლებიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და ამასთან, ექვემდებარება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას (გარდა დივიდენდებისა და ანაზღაურებზე გაცემული პროცენტებისა), როგორცაა სტიპენდია, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა; პენსია, გარდა იმ პენსიისა, რომელიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში, სათამაშო

ბიზნესის მომწეობ პირთა მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული მოგებები, აგრეთვე, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობაში მონაწილე პირების მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხები (ფულადი განაცემი);“;

ბ) მე-7 პუნქტის:

ბ.ა) „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მე-5 სვეტში აისახება შემოსავლების მიმღებ პირთა კატეგორია. კერძოდ, რეზიდენტი ფიზიკური პირები – დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები, საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოში დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები, რომელთა საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ხელფასი იბეგრება 5%-ით, ფიზიკური პირები, გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, ნოტარიუსებისა, კერძო აღმასრულებლებისა, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში, რომლებიც ეწევიან მომსახურებას და რომელთა შემოსავალი იბეგრება 20%-ით, ფიზიკური პირები, გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, ნოტარიუსებისა, კერძო აღმასრულებლებისა, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში, რომლებიც ეწევიან მომსახურებას და რომელთა შემოსავალი იბეგრება 5%-ით, ფიზიკური პირები, რომელთა მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი საქონლის შემძენი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 1333 მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 3-პროცენტითანი განაკვეთით; სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკური პირები; სხვა ფიზიკური პირები, მ.შ სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობაში მონაწილე პირები, რომელთა მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა იბეგრება 2 პროცენტით; რეზიდენტი ორგანიზაციები; არარეზიდენტები – შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული იურიდიული პირები, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული ფიზიკური პირები, საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე სხვა არარეზიდენტი იურიდიული პირები, საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი ფიზიკური პირები; ფიზიკური პირი – „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განმახორციელებელი არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორი; მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხების მიმღები პირი; იურიდიული პირი – „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განმახორციელებელი არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორი; საწარმოს, ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხების მიმღები პირი;

